

უხერხემლობა

სალამო დარღვეული პოზის ადამიანებისთვის

მისაღები ოთახი შეფის კაბინეტის წინ. პატარა მაგიდა. სხვადასხვანაირი სკამები. ბუფეტის მსგავს, არც ისე მაღალ თაროზე ყავის მოსადუღებელი აპარატი, ლამბაქები და მშრალი ნამცხვარი აწყვია. სცენის სიღრმეში – შირმა, საკიდი, დიდი კარადა და კარია წარწერით – „ტუალეტი“.

იქვე დგას უცნაური, მოძრავი სვეტი, რომელშიც შიგნიდან თავისუფალი ღრუა. ეს ღრუ მხოლოდ მერვე სცენაში ჩნდება, როდესაც სვეტი სპექტაკლის მოქმედებაში ერთვება. სცენაზე უამრავი დეტალია, რომელიც მოლოდინზე მიუთითებს: მაგალითად, ჯერ კიდევ ქაღალდში შეფუთული დამჭკნარი ყვავილები, ან მტვრისგან განაცრისფერებული პალტო საკიდზე.

მარცხნივ სამი საფეხურია, რომელსაც მაღალ, ორფრთიან, შეფის კაბინეტის კარისკენ მივყავართ. კარის გვერდით, კედელზე, წითელი სანათია, რომელიც სიგნალის შემზარავ ხმასთან ერთად ინთება ყოველ ჯერზე, როდესაც რომელიმე თანამშრომელს იძახებენ ხელმძღვანელის კაბინეტში.

სცენის სივრცე ერთგვარი შუალედური სივრცეა, პირობითი ოთახი, სადაც სიცოცხლის ძვირფასი წუთები ფუჭად იხარჯება.

თანამშრომლები:

ბატონი კრეცკი

მომხიბვლელი, მოქნილი, საინტერესო გარეგნობით, გამარჯვებულის მანერებით, დაუდევრად ჩაცმულია. ზოგიერთი თვლის, რომ ჰომოსექსუალია, თუმცა დარწმუნებით არავინ იცის. ეწევა „Gauloises Blondes“-ს. იცის, რომ სამსახურში მომდევნო დაწინაურება, მხოლოდ დროის საკითხია. საყვარელი ბრძოლის სახეობაა – აიკიდო.

ბატონი ჰუფშიდტი

შესამჩნევი პიროვნებაა, მოწოდებით წინამძღოლი; აწუხებს კისრის მალეების დაჭიმულობა; ძილის დროს კბილებს აკრაჭუნებს და ამიტომ პირში სპეციალურ ფირფიტას იდებს, კბილის ემალი რომ არ დაუზიანდეს. ეწევა „სიგარილოს“. უკვე თითქმის მიაღწია დაწინაურებას, საყვარელი ბრძოლის სახეობაა – კენ-დო (იაპონური ფარიკაობა ხმლით).

ქალბატონი შმიტი

მასზე ვერ იტყვი, რომ მთელი ღამეები მუშაობს. ყოველთვის უზადო მაკიაჟი აქვს. გამოსასვლელ დღეებში არ დადის სამსახურში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ესწრება მორიგ სემინარს სერიიდან „როგორ მივაღწიოთ წარმატებას საწარმოში“. მას და ჰუფშიდტს სძულთ ერთმანეთი, ეს არ ამცირებს მათ მომხიბვლელობას ერთმანეთის თვალში. ეწევა მაგარ სიგარეტს ფილტრით, თუმცა ვიდრე მოწევს ფილტრს თიტებით სრესს. საყვარელი ბრძოლის სახეობაა – კიკბოქსინგი.

ქალბატონი კრისტენსენი

მას ერთადერთს ახსოვს თანამშრომელთა დაბადების დღეები, ყიდულობს მათთვის საჩუქარს და ყველას თხოვს სამახსოვრო ბარათზე ხელი მოაწერონ. თუმცა ფულს, რომელსაც ამ საერთო საჩუქრისთვის ხარჯავს, მას არასოდეს უბრუნებენ ნებით, შეხსენება კი ერიდება. ჯერ კიდევ სჯერა კოლექტივის ჯადოსნური ძალის. გამუდმებით დადის ტუალეტში: ხან ნაწლავების ქრონიკული ინფექცია აქვს, ხან თვითშეგონებისა და ავტოტრენინგის გამო. არ ეწევა.

ბატონი კრუზე

ნებისმიერი გუნდი აფასებს ამგვარ „კრუზეს“ თავის რიგებში, რადგან რამდენადაც დამცირებული არ უნდა იყო შენ, ის იქნება ყოველთვის უფრო ქვემოთ. თანამშრომელებისგან დაცინვას და შეურაცხყოფას, აღიქვამს როგორც უწყინარ ხუმრობას. მიდრეკილია პანიკისადმი, თუმცა ამას მხოლოდ სახლში ამჟღავნებს. ეწევა მსუბუქ სიგარეტს, მაგრამ მას „მალბოროს“ კოლოფში ინახავს. საყვარელი ბრძოლის სახეობაა – მიმიკრია.

პიესის პროლოგი და ეპილოგი მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებს. ყველა პერსონაჟი ყოველთვის სცენაზეა, მაშინაც კი, როცა მხოლოდ ორი მათგანი საუბრობს.

პროლოგი, ამაყი პოზა

კრისტენსენი, კრეცი

კრეცი: მისმინე, გადიხარ ხოლმე სარკესთან რეპეტიციას?

კრისტენსენი: რა?

კრეცი: აი, დგები სარკის წინ და ვარჯიშობ, რომ ყველაფერი დახვეწილად გამოიყურებოდეს – შესტები, მზერა, სხვადასხვა მოძრაობები... გადიხარ ხოლმე რეპეტიციას?

კრისტენსენი: არა.

კრეცი: როგორ, არასდროს?

კრისტენსენი: ჰო, კარგი, ზოგჯერ. რაღაც წვრილმანებს, განსაკუთრებული არაფერი.

კრეცი: აჰა, წვრილმანებს.

კრისტენსენი: თმას როგორ ვიწვევ ყურებთან... ან როგორ გამოვიყურები, როცა ვჭამ.

კრეცი: შენ რა, სარკეში იყურები, როცა ჭამ?

კრისტენსენი: ჰო, მერე რა? ჭამის დროს ხომ საკუთარ თავს ვერ ხედავ? იქნებ რამე მახინჯი ჩვევა მაქვს, ვთქვათ ყბებს ვალაჭუნებ უშნოდ და წარმოდგენაც არ მაქვს ამაზე. გვერდიდან კი ეს ყველაფერი ჩანს. ამიტომაც ვამოწმებ სარკეში საკუთარ თავს. ან, მაგალითად, თავის ქნევის პირფერული მანერა... მე ხომ პრაქტიკულად ყოველ წუთს ვაქნევ თავს. გამარჯობა, როგორ ხარ? (მოძრაობით თავს უკრავს) გმადლობთ, კარგად... ასე კიდევ არაუშავს, ამ შემთხვევაში ეს სიმპათიურად და ქალურად გამოიყურება. თავის დახრა ზოგადად ძალიან ქალურია. საერთოდ, თავის დაკვრა მორჩილების არქაული სიგნალია, ძაღლებს ის კბენის რეფლექსს უკარგავს... მოკლედ, ნებისმიერ შემთხვევაში, თავის დაკვრა ქალური შესტია, და გარკვეულ სიტუაციებში ძალიანაც მისაღები, რატომაც არა? მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მე თავს გამუდმებით ვაქნევ, მაშინაც კი, როცა ეს არაფერ შუაშია. როცა, როცა...

კრეცი: როცა საჭირო არ არის თავის დაკვრა?

კრისტენსენი: აჰა. სწორედ ამიტომ ვვარჯიშობ ხშირად, რომ გამართულად ვიდგე და ისე ვილაპარაკო. ხედავ, გამომდის. მაგრამ საკუთარი თავის მუდმივი კონტროლი მიწევს. კიდევ რა არის იგი ცუდი: როგორც კი თავს ვხრი, მხრები უნებლიედ მაღლა მეწევა და ტრაკი მეზიკება (ხვდება, რომ ისევ პირფერული პოზა მიიღო). ე.ი. თავი დაბლა...

კრეცი: არა, უკეთესია მხრები.

კრისტენსენი: მართალია. აქ ყველაფერი თავისუფლად უნდა იყოს (მხრებს ისწორებს), პლუს ზუსტი და თავდაჯერებული შესტები: აი ჩემი „ეგო“, აი ჩემი თვითშეფასება (მიიღებს ამაყ და თავდაჯერებულ პოზას).

კრეცი: უყურე შენ, გამოგდის.

კრისტენსენი: კი, მაგრამ შენ ვერ ხედავ როგორ მაქვს მოლუნული ფეხის თითები, ფეხსაცმელი კარგად რომ მოვირგო?

კრეცი: იცი, ყველაფერი ერთდროულად ვერ გამოგივა, მაგრამ ერთი შეხედვით ძალიან ლამაზია: მკვეთრი პოზა, დამაჯერებელი, და ამავედროულად ძალიან ქალური.

კრისტენსენი: (გაბრწყინებული მოქნევით წევს თავს მაღლა) მართლა? ესე იგი (უკვე გაშეშებული თავით) გამომდის?

კრეცი: ხო, კი. კი...

კრისტენსენი: სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან დიდ დროს ვატარებ სარკესთან, ყველა წვრილმანს ვამუშავებ. მაგალითად, როგორ შემოვტრიალდე, ან მეტ-ნაკლებად დახვეწილად ამოვიცვა კოლგოტი, როცა, ნუ, თვითონაც იცი...

კრეცი: აბა, მანახე.

კრისტენსენი: ყველაზე ხშირად აგრესიის გამოხატვაში ვვარჯიშობ.

კრეცი: ჰმ.

კრისტენსენი: განსაკუთრებით სპონტანური აგრესიის... მუდმივად გავდივარ რეპეტიციას.

კრეცი: ეს როგორ?

კრისტენსენი: როგორ და, ვყვირი, ვილანძღები, ვიგინები. პრობლემა ისაა, რომ ამ დროს სარკის წინ ვდგავარ და გამოდის რომ...

კრეცი: საკუთარ თავს უყვირი.

კრისტენსენი: ჰო, შეიძლება ასე ითქვას. (პაუზა.) და შენ?

კრეცი: მეც ვამუშავებ რაღაც წვრილმანებს. მაგალითად, თუ თავს ასე მოვატრიალებ, აქ ნაოჭები მიჩნდება.

კრისტენსენი: არასოდეს შემიმჩნევია.

კრეცი: რას ამბობ, შემხედე რა ნამუშევარია?!

კრისტენსენი: კარგი, გეყოფა.

კრეცი: ხანდახან ხდება, რომ ძალიან მომწონს სხვისი ჟესტი ან მოძრაობა, მაშინვე ვიმეორებ სარკის წინ და ვამოწმებ, მიხდება თუ არა. ვფიქრობ, რაღაც-რაღაცეები მე უფრო ლამაზად გამომდის, ვიდრე მას, ვისგანაც ეს ჟესტი და მოძრაობა გადმოვიღე – მაგალითად თავის გადაადგების მანერა.

კრისტენსენი: რა მანერა?

კრეცი: შენი.

კრისტენსენი: შენ რა, მე მზამავ?

კრეცი: მხოლოდ მაშინ, როცა მინდა ქალური და იდუმალი ვიყო.

კრისტენსენი: ჰმ. (პაუზა)

კრეცი: როცა ოლიმპიური თამაშების დაჯილდოვებას აჩვენებდნენ, ზოგჯერ სარკესთან მივდიოდი და ვცდილობდი წარმომედგენა როგორი სახე მექნებოდა, პედესტალზე რომ ვმდგარიყავი და ოქროს მედალი მიმელო... თუმცა ეს თემას არ ეხება.

კრისტენსენი: არაუშავს. (პაუზა.)

კრეცი: ივარჯიშე დღევანდელ გამოსვლაზე? ახლა შენი გამოსვლაა, შენ ხომ იწყებ...

კრისტენსენი: კი. კი-კი. ვიფიქრე, რომ ცუდი არ იქნებოდა... აი, რა ვიფიქრე: რატომ არ შეიძლება ვთქვა რაიმე განსაცვიფრებელი, და თან ასეთი შემთხვევისთვის ჩავიცვა მოხდენილი ჩახსნილი კაბა – აი, ეს? (იღებს ჩანთიდან ელეგანტურ საღამოს კაბას, რომლის ქვედაბოლო ღრმად ჩაჭრილია). ვიცი, რომ... მნიშვნელობა არ აქვს... ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან თამამია... მოკლედ, გამოვიდოდი ავანსცენაზე ამ კაბაში, ამაყად თავაწეული, მიკროფონით ხელში (ჩანთიდან იღებს მიკროფონს) და ვიტყვოდი (მაყურებელთა დარბაზს): Welcome, Ladies and Gentlemen. Let's take a walk on the wild side.

კრეცი: ინგლისურად?

კრისტენსენი: აუცილებლად. ბოლომდე უნდა დავიხარჯო, ასი პროცენტით. ეს იქნებოდა მართლაც ბრწყინვალე გამოსვლა... საერთაშორისო კლასის!

კრეცი: ჰმ.

კრისტენსენი: ამის შემდეგ წარმოვთქვამდი (იგივე ამაცი პოზით): This evening is dedicated to all those fucking assholes out there who get high by putting others down and tonight we gonna stop them (მიმართავს კრეცის, ცემუკავს და თავს აქნევს). ეს არის სიტყვა გარეწრებზე, რომლებიც უნდა შევაჩეროთ.

კრეცი: ყველაფერი გასაგებია.

კრისტენსენი: (ისევ იღებს ამაცი პოზას). Listen carefully! I'll only say this once. I will not be nice tonight! And I will not behave. And I'm in a very bad mood tonight. Yes, you're right! I do have my menstruation! And watch out, if I'll pull out my tampax, there's gonna be a mighty flood and streams of blood will drown every fucking asshole in the world! (მიმართავს კრეცის) ასე მივახლიდი მათ პირში ყველაფერს და არ ვიფიქრებდი, ვინმეს არ წყენოდა.

კრეცი: აი ეს მესმის, აი, გამოსვლა!

კრისტენსენი: მაცადე, ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არაა. *(მაცურებელთა დარბაზს.)* This evening is about Power. Dignity. Beauty. *(კრეცკის)* აქ შეიძლება მემღერა რამე ძალიან ხმამაღლა, მერე კი დავამატებდი: Don't let them fuck around with you. Beat! Burn! Bite! And don't read beauty magazines. They will only make you feel ugly. *(კრეცკის)* აი, ასეთი გამოსვლა მოვამზადე.

კრეცკი: და რატომ არ წარმოთქვი?

კრისტენსენი: უკვე კაზაც ჩაცმული მქონდა, მაგრამ დავინახე როგორ შემოდიოდა ხალხი დარბაზში და უცებ მომეჩვენა, რომ ასეთი სიტყვით მხოლოდ შევრცხვებოდი. მაინც არ მომისმენდნენ. და აი, ვდგავარ ჩემ კაზაში გამოწყობილი, ვყვირი – „ძალაუფლება, ღირსება, სილამაზე“, მე კი ხმა მეკარგება და ყველა შემომცქერის – ზოგი გაცევით, ზოგი თანაგრძნობით... და ეს კაზა გავიხადე.

კრეცკი: დასანანია.

კრისტენსენი: ჰო. მითუმეტეს, რომ ყველაფერთან ერთად, სწორედ ამ კაზით მინდოდა სპონტანური... უფრო სწორად... იქნებ ჩვენ, მე და შენ რაიმე... გამოგვსლოდა.

კრეცკი: სერიოზულად?

კრისტენსენი: ნუ, იქნებ... *(პაუზა.)*

კრეცკი: ჰო... მართლა საწყენია.

კრისტენსენი: ჰო.

(სხვადასხვა მახარეს გადიან)

1. აჯაგრული

შემოდის კრეცკი. უყურებს საათს, შემდეგ შეფის კაბინეტის კარს. ის პირველი მოვიდა, რითაც მეტნაკლებად სასარგებლო სტრატეგიული მდგომარეობა დაიკავა. საქალაქის ფურცლავს.

ჰუფშმიდტი: *(შემოდის)* დილა მშვიდობისა!

კრეცკი: დილა მშვიდობის.

ქულა კრეცკის სასარგებლოდ. ჰუფშმიდტი ბრაზდება, რომ პირველი ისევ თვითონ მიესალმა. ჰუფშმიდტი ზერელედ ფურცლავს თავის საქალაქს. კრეცკი კიდევ უფრო ზერელედ ფურცლავს თავისას. ჰუფშმიდტი ფურცლავს ზერელედ და დინამიურად. კრეცკი ფურცლავს გამარჯვებულის იერით. ჰუფშმიდტს ფურცვლისას შემთხვევით გვერდი ამოეხევა საქალაქედან. ისევ ქულა კრეცკის სასარგებლოდ. შემოდის შმიტი.

შმიტი: დილა მშვიდობისა!

მისი მისალმება ჰაერს მოქნეული მათრახის წელიწადით კვეთს. შმიტი ყავის მადულარასთან მიდის, არ შიშობს, რომ ამით მტერს ზურგს უჩვენებს. ქულა შმიტის სასარგებლოდ. ის ეჭიდება ყავის მადულარას, როგორც ბოქსიორი კლინჩის დროს.

ჰუფშმიდტი: *(ძალიან თავაზიანად)* დილა მშვიდობისა!

ქულა კრეცკისა და ჰუფშმიდტის სასარგებლოდ. შმიტი ჯდება. სამივე ფურცლავს საკუთარ საქალაქებს. ქულა შმიტის სასარგებლოდ. შემოდის კრისტენსენი.

კრისტენსენი: დილა მშვიდობისა!

შმიტი: დილა მშვიდობისა!

იმავდროულად, როდესაც ისინი წარმოთქვამენ მისასალმებელ სიტყვებს, კრეცკი ამბობს: „დამეკარგე“, ოღონდ ნახევარი ხმით, ისე რომ კრისტენსენმა თან იფიქროს მომეჩვენაო და თან წონასწორობიდან გამოვიდეს. კრისტენსენი იწყებს თავისი ქალაქების ფურცვლას. სხვები საქალაქს ხურავენ და კრისტენსენს აკვირდებიან. კრისტენსენი აღელვებულია.

კრუზე: *(წაიბორძიკებს შემოსვლისას).* დილა მშვიდობისა!

კოლეგებიც ესალმებიან, ისე რომ მის ინტონაციას გამოაჯავრონ. კრუზე არ იმჩნევს. ფურცლავს ქალაქებს. ფურცლავს დინჯად და აკურატულად. ქულების დაწერას არც ცდილობს.

შმიტი სიგარეტს ამოიღებს. მას ასანთი არა აქვს, ამიტომ კრეცკის სანთებელას იღებს. კრეცკიც ამოიღებს სიგარეტს. ჰუფშმიდტი თავის „სიგარილას“ ამოიღებს. მას ძვირფასი სანთებელია აქვს „ზიპოს“ ფირმის. კრუზე თავის მხრივ, ამოიღებს სიგარეტს. მას დაზიანებული ერთჯერადი სანთებელია აქვს, რომლიდანაც ცეცხლის ალი დიდი სისწრაფით ამოვარდება. ყველა ეწევა.

კრისტენსენი: არ მომწონს, რომ ყველა ეწევიot.

პაუზა.

ქულა სიგარეტის ყველაზე თამამი მოწვევისათვის ერგება ჰუფშმიდტს. ჰუფშმიდტი დგება. კრეცკი დგება. ჰუფშმიდტი მაგიდასთან მიდის. კრეცკიც მაგიდასთან მიდის. კრეცკის დღეს გადაწყვეტილი აქვს ამ ბრბოს ლიდერი ჰუფშმიდტი გამოიწვიოს. შმიტიც უერთდება მათ. ისიც მზადყოფნაში თავისი „წილი“ მიითვისოს, თუ მოწინააღმდეგენი რაიმე სისუსტეს გამოიჩენენ.

2. გახურება

კრუზე: ამ დილით სასაცილო რაღაც შემემთხვა. ვიღვიძებ და...

ინთება წითელი სანათი, ისმის ხმამაღალი სიგნალი. კრეცკი პიჯაკს იკრავს, ადის კიბეზე და შედის შეფის ოთახში.

კრუზე: ამ დილით სასაცილო რაღაც შემემთხვა...

ჰუფშმიდტი: სარკეში საკუთარი თავი დაინახეთ?

კრუზე: ჰა-ჰა-ჰა, ოცი ცენტი. არა, აი რა შემემთხვა: ვიღვიძებ ამ დილით და...

შმიტი: რომ ვიღვიძებ, მეც მეჩვენება რომ სასაცილოა, უფრო ზუსტად სასაცილო კი არა, უცნაური, უფრო მეტიც სახიფათო, საშინელიც კი.

ჰუფშმიდტი: იმიტომ, რომ როგორც ახლა, ახლაც არ იცით რომელი ფეხით ან ხელით ადგეთ?

შმიტი: ამას უყურეთ, ანეგდოტების ახალი კრებული იყიდეთ? ვხედავ ერთის დაზეპირებაც მოგისწრიათ. ახლავე მოვრჩები მოწევას და ერთად გავიცინოთ.

პაუზა.

კრუზე: ჰო. მართლაც, ადგომა ზოგჯერ საერთოდ არ არის სასიამოვნო, მაგრამ დღეს უცნაური სულ სხვა რამე იყო... რაღაც უნდა დავძინო, ქალბატონებო გთხოვთ ყურები დაიხშოთ, –სრულიად შიშველს მძნავს, და აი, ვიღვიძებ ამ დილით...

შმიტი: და ხედავთ, რომ თქვენს გვერდით ბალიშზე თქვენი თავი დევს, არ იცით რომელი მხრიდან მიიბათ და ირჩევთ არასწორ მხარეს.

კრუზე: ჰა-ჰა-ჰა, არა, არა, ჰა-ჰა-ჰა, კარგი, გავიგე.

შმიტი: რა გაიგეთ?

კრუზე: თქვენი ნათქვამი გავიგე.

კრეცკი გამოდის შეფის ოთახიდან, გაღიზიანებულია. მიდის ყავის აპარატისკენ, შუა გზიდან ბრუნდება, მიდის ისევ შეფის კართან და აკაკუნებს. შედის. დანარჩენები მას ადევნებენ თვალს. დამაბულობა მატულობს.

კრუზე: მოკლედ, ვიღვიძებ და რაც ყველაზე სასაცილოა, ნუ არც ისე სასაცილო, რომ სიცილით მოკვდე, მაგრამ სახალისო...

ჰუფშმიდტი: მთავარი დაგავიწყდათ?

კრუზე: მაინც რა?

ჰუფშმიდტი: ის, რომ სრულიად შიშველს გძინავთ, ამის შესახებ აუცილებლად უნდა ითქვას, თორემ სასაცილო არ იქნება.

კრუზე: ჰო.

პაუზა.

ჰუფშმიდტი: ჰოდა?

კრუზე: მოკლედ, ეს არც ისე სასაცილოა, უფრო...

შმიტი: სევდიანი.

კრუზე: ჰო, სევდიანი...

კრეკვი შეფის ოთახიდან გამოდის. თავზე ახურავს მასხარას ქალაქის წაწვეტებული ქუდი, ხელში – საკუთარი მოჭრილი ჰალსტუხი. ჯდება. ცდილობს რაც შეიძლება თავდაჯერებულად გამოიყურებოდეს.

პაუზა.

კრეკვი: არ შეიძლება ყველაფერი სერიოზულად აღიქვა... კიდევ ხომ არ გნებავთ ყავა?.. ეს ხომ უბრალოდ ხუმრობაა.

ზარის ხმა. სანათი ინთება. კრუზე შედის შეფის ოთახში. სწრაფადვე გამოდის და ცდილობს ისე მოიქცეს, ვითომ არაფერი მომხდარა. ჯდება, ოფლი ასხამს და შიშისგან ცახცახებს. ნამდვილად შოკშია.

კიდევ ერთი სიგნალი, სანათი ინთება. კრისტენსენი ის-ის იყო ტუალეტისკენ გაემართა, რომ მიმართულებას იცვლის და შეფის ოთახისკენ მიმავალ კიბის საფეხურებს აირბენს. კიდევ ერთხელ იხსენებს მასტერ-კლასს თვითდარწმუნებაში და მტკიცე ნაბიჯით შედის შეფის ოთახში, ცდილობს თავი სწორად ექიროს.

3. მოვლენათა განვითარება

ჰუფშმიდტი: ფურცლები საქალაქოში, მობილური გამორთულია. ოთხი საფეხური კარამდე. ვაკაკუნებ კარზე, კაკ-კუკ, ველოდები სიტყვებს „დიახ, დიახ, შემოდით“; დიახ, დიახ, შემოდით; პატარა პაუზა; ვაღებ კარს და შევდივარ. ვჩერდები კარის ზღურბლთან. ვუყურებ თვალებში. ვამბობ: „დილა მშვიდობისა!“. ვხურავ კარს ისე, რომ არ ვბრუნდები, განვაგრძობ თვალებში ყურებას. სამი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე. ვღებ საქალაქო. ვჯდები, ვზივარ. ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული, სახით მისკენ, არაფერს ვამბობ. ყავა? დიახ, სიამოვნებით. რძე და შაქარი? დიახ, თუ შეიძლება. სიგარეტი? დიახ, რატომაც არა, ხანდახან, დრო გამოშვებით. ამას ხუმრობა მოყვება, ვიცინი. ძალდაუტანებლად, მაგრამ არც ისე ხმამაღლა, აი ასე: ჰა-ჰა-ჰა, დიახ, სასაცილოა...

იბნევა, თავიდან იწყებს.

ფურცლები საქალაქოში, მობილური გამორთულია, ოთხი საფეხური კარამდე. ვაკაკუნებ კარზე, კაკ-კუკ, ველოდები სიტყვებს „დიახ, დიახ, შემოდით“; დიახ, დიახ შემოდით; პატარა პაუზა. ვაღებ კარს და შევდივარ. ვჩერდები კარის ზღურბლთან. ვუყურებ

შმიტი: ვაკაკუნებ კარზე, კაკ-კუკ, არ ველოდები სიტყვებს „დიახ, დიახ, შემოდით“; ეგრევე შევდივარ. ვუყურებ თვალებში, ვამბობ: „დილა მშვიდობისა!“ ვხურავ კარს, აუჩქარებლად ვრუნდები, ისევ ვუყურებ თვალებში. ხუთი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე, ვიხდი პიჯაკს, ვჯდები. არა, ჯობია პიჯაკი არ გავიხადო, თორემ იფიქრებს, რომ მკერდის დემონსტრირება მინდა. ხუთი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე. არ ვიხდი პიჯაკს. ვჯდები. კიდევ რა. ვიხდი პიჯაკს. რატომ უნდა დავმლო ჩემი მკერდი. ეს ხომ არანორმალურია. მე ქალი ვარ და მორჩა. ხუთი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე. ვიხდი პიჯაკს. ვჯდები. ვზივარ თამამად, ქალურად. ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული, ხელები მუხლზე. ყავა? სიამოვნებით. რძე და შაქარი? არა, გმადლობთ. სიგარეტი? დიახ, თუ შეიძლება. ამას ხუმრობა მოყვება. ვიცინი, მაგრამ არა გულიანად, ისე, მეგობრულად. აი ასე: ჰა-ჰა... ჰა-ჰა, დიახ, სასაცილოა. მე ვასხივებ კომპეტენტურობას, გულღია და კომპეტენტური ვარ. მოკლედ.

სიგარეტი მარცხენა ხელში, ფურცლები მაგიდაზე, სათვალე ფუტლარში. გეგმა თავში მაქვს. სიგარეტი საფერფლეში. განვაგრძობ თვალებში ყურებას, მზერა პირდაპირი, არც ისე მაცდური. აქ კომპეტენტურობაა საჭიროა და არა კეკლუცი.

<p>თვალეზში. ვხუმრობ.</p> <p><i>თავიდან იწყებს.</i></p> <p>ფურცლები საქალაქდეში, მობილური გამორთულია. ოთხი საფეხური კარამდე. ვაკაკუნებ კარზე, კაკ-კუკ, ველოდები სიტყვებს „დიახ, დიახ, შემოდით“; დიახ, დიახ შემოდით; პატარა პაუზა. ვაღებ კარს და შევიღვარ. ვჩერდები კარის ზღურბლთან. ვუყურებ თვალეზში. ვამბობ „დილა მშვიდობისა!“ ვხურავ კარს ისე, რომ არ ვბრუნდები, განვაგრძობ თვალეზში ყურებას. სამი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე. ვღებ საქალაქდეს. ვჯდები, ვზივარ. ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული, სახით მისკენ, არაფერს ვამბობ. ყავა? დიახ, სიამოვნებით. რძე და შაქარი? დიახ, თუ შეიძლება. სიგარეტი? დიახ, რატომაც არა, ხანდახან, დრო გამოშვებით.</p> <p>მოკლედ.</p> <p>სიგარეტი მარცხენა ხელში, ნაღები ყავაში, სარძევე მაგიდაზე, შაქარი ყავაში, სიგარეტი საფერფლეში, ფურცლები საქალაქდედან, კალამი პიჯაკის ჯიბეში, ქალაქდეში მაგიდაზე. ვუყურებ თვალეზში, სიგარეტი საფერფლედან, ერთ ეგზემპლარს ვაწვდი მაგიდის მეორე მხარეს, სათვალე ფუტლარიდან, ხმა მშვიდი, ვსაუბრობ ნელა, პანიკის გარეშე, ვეუბნები რაზე გავამახვილე ყურადღება... შემდეგ პაუზა, მერე მშვიდად ვშლი მეოთხე გვერდს, დამაჯერებლად ვშლი მეოთხე გვერდს, ვიღებ კალამს საფერფლედან, თფუ, ფუტლარიდან. სიგარეტს საფერფლედან, ფურცლებს საქალაქდედან – არა, ფურცლები უკვე მაგიდაზეა... ერთი წუთით...</p> <p>ნაღები ყავაში, სარძევე მაგიდაზე, შაქარი ყავაში, სიგარეტი საფერფლეში, ფურცლები საქალაქდედან, კალამი პიჯაკის ჯიბეში, ფურცლები მაგიდაზე. ვუყურებ ფუტლარში, თფუ, ვუყურებ თვალეზში. ხმა მშვიდი, ხმა მშვიდი, ვსაუბრობ ნელა, საქალაქდის გარეშე, ვსაუბრობ ნელა, პანიკის გარეშე. ერთ ეგზემპლარს ვაწვდი მაგიდის მეორე მხარეს – არა, ეს უკვე იყო. ნაღები ყავაში, სარძევე მაგიდაზე, სიგარეტი ყავაში, ფუ შენი.</p> <p>ფურცლები საქალაქდეში, მობილური</p>	<p>სიგარეტი საფერფლეში, შემდეგ ვიღებ სათვალეს, სათვალეს ფუტლარიდან, ფუტლარი მაგიდაზე რჩება, კიდევ ერთი ყლუპი ჭიქიდან. ფრთხილად პომადასთან. სათვალე ცხვირზე, ფურცლები მაგიდაზე, კომპეტენტურობა მზერაში. მშვიდად ვფურცლავ ქალაქდეებს, პირველი გვერდი, ვამბობ, რომ აქ საუბარია კომპეტენტურობის შესახებ 2002 წელს... თფუ, გეგმის შესახებ 2002 წლის. სიგარეტი საფერფლეში, ვიღებ სათვალეს. სათვალეს ფუტლარიდან. ფუტლარი მაგიდაზე რჩება, კიდევ ერთი ყლუპი ჭიქიდან. ფრთხილად პომადასთან. სათვალე ცხვირზე, ფურცლები მაგიდაზე, მზერა კეკლუცი, ფუ შენი, კეკლუციობის გარეშე. სიგარეტი მარცხენა ხელში, ფურცლები მაგიდაზე, გეგმა საფერფლეში, ფუ შენი.</p> <p>სიგარეტი საფერფლეში, ნაღები ყავაში, თფუ.</p> <p>სიგარეტი ცხვირში, სათვალე ფუტლარში. სიგარეტი საფერფლეში, განვაგრძობ თვალეზში ყურებას, საჭიროა კეკლუცი, გაკეკლუცება.</p> <p>სათვალე საფერფლეში. არა, ვერ ჩაეტევა. სხვა რაღაც უნდა ჩავდო საფერფლეში. გეგმა სწორედ რომ წავა, თფუ.</p> <p>ფეხი ფეხზე, პიჯაკი ფუტლარში, ფუტლარი საქალაქდეში, კომპეტენტურობა.</p> <p>კონცეფცია საფერფლეში. საფერფლე ფუტლარში, ფუტლარი პიჯაკში. ვიხდი პიჯაკს.</p> <p>პიჯაკის გახდა. მუხლის გეგმა.</p> <p>კომპეტენტურობა საქალაქდეში, საქალაქდე ფერფლეში. ნარჩენები ფერფლიდან, კომპეტენტურობა მუხლს, მუხლი ყავაში – გმადლობთ, რძის გარეშე. ფერფლი შავია, ფურცელი თეთრი. ეს ხომ ისედაც ვიცი.</p> <p>კომპეტენტურობა საქალაქდეში, საქალაქდე პიჯაკში.</p> <p>კომპეტენტურობა ფერფლეში, შემდეგ ფერფლი ყავაში, შემდეგ ყავა პიჯაკში.</p> <p>ყავა პიჯაკში... ყავა პიჯაკში. ვიხდი პიჯაკს. ვიხდი პიჯაკს, მე ქალი ვარ. ფეხი ფეხზე, ქალურად, დიახ, მაგრამ არა ვულგარულად. ვზივარ. ფეხი ფეხზე, ხელები მუხლზე.</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<p>გამორთულია, ოთხი საფეხური კარამდე. ვაკაკუნებ კარზე, კაკ-კუკ, ველოდები სიტყვებს: „დიახ, დიახ, შემოდით“; პატარა პანიკა, არა პატარა პაუზა; ვაღებ კარს და შევდივარ. ვჩერდები კარის ზღურბლთან. ვუყურებ თვალებში, ვამბობ: „დილა მშვიდობისა!“ ვხურავ კარს ისე, რომ არ ვბრუნდები, განვაგრძობ თვალებში ყურებას. სამი ნაბიჯი საწერ მაგიდამდე. ვდებ საქალაღეს. ვჯდები. ვზივარ. ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული, სახით მისკენ; ვამბობ... სახით მისკენ; ვამბობ... ფეხი ფეხზე მაქვს გადადებული, სახით მისკენ; არაფერს ვამბობ. არაფერს ვამბობ.</p> <p>ყავა? სიამოვნებით. რძე და შაქარი? სიგარეტი? დიახ, რატომაც არა, ხანდახან, დრო გამოშვებით.</p> <p>ამას ხუმრობა მოყვება.</p> <p>სიგარეტი საფერფლეში, ნაღები ფუტლარში, სარძევე მაგიდაზე, შაქარი ყავაში, ვუყურებ მუხლზე.</p> <p>თფუ, კომპეტენტურობა საფერფლეში, კომპეტენტურობა პანიკაში.</p> <p>სიგარეტი საფერფლეში, პანიკა მაგიდაზე, სიგარეტი სიგარეტზე, სათვალე მუხლებზე, თფუ, სათვალე ცხვირზე, კიდევ ერთი ყლოუპი ჭიქიდან. ფრთხილად პომადასთან, ფუ შენი... ფრთხილად მუხლთან; მუხლი მუხლზე, ხელები მუხლებზე. ფურცლები ფერფლში, მუხლი მაგიდაზე, ხმა პანიკაში, ფუტლარი მშვიდადაა. ხელი მუხლზე. ნაჭრები საქალაღედში, საქალაღე მუხლზე. სიგარეტი პიჯაკში, ვიხდი პიჯაკს, მე ქალი ვარ. ქალი საქალაღედში, ფურცლები მაგიდაზე. თფუ – ქალი მაგიდაზე და ფურცლები საქალაღედში – აი, ასე. ქალი მუხლებზე, კომპეტენცია ცეცხლში, მზერა ფუტლარში.</p>	
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--

სანათი ინთება. ხმოვანი სიგნალი აწყვეტინებს შმიტსა და ჰუფშმიდტს ფიქრს. შმიტი შედის შეფის ოთახში.

4. ნაყოფიერი საუბარი

კრისტენსენი გამოდის შეფის ოთახიდან. ჩანს, რომ სასიამოვნოდ გაოცებულია. კარის ზღურბლზე ჩერდება.

კრუზე: კი?

კრისტენსენი: კი, კი, ააარაა... ეს იყო... ნაყოფიერი საუბარი. ზუსტად. ვფიქრობ, შევძელი ამეხსნა ყველაფერი, რისი თქმაც მსურდა.

მიემართება ყავის მოსადურებელი აპარატისკენ; ზურგში უზარმაზარი დანა აქვს ჩარჭობილი, როგორითაც ყასბები ხორცს ანაწევრებენ. კრუზე და ჰუფშმიდტი დანას ხედავენ და თავზარი ეცემათ. ციებ-ცხელებიანებივით აანალიზებენ, უთხრან თუ არა კრისტენსენს ამის შესახებ.

კრეცი: ყავა?

კრისტენსენი: სხვათა შორის, ყავას არ ვსვამ... ნუ, კარგი, გამონაკლისის სახით... გმადლობთ. სინამდვილეში... არა, მართლა, ნამდვილად ნაყოფიერი იყო.

კრეცი: ჰოდა მშვენიერი.

კრისტენსენი: სხვათა შორის მე, რასაკვირველია ნაყოფიერად მოვემზადე, წინასწარ გავიაზრე რა მეთქვა და რა არა...

კრეცი: ასეა, ყოველთვის მნიშვნელოვანია წინასწარ მომზადება...

კრისტენსენი: სიმართლე გითხრათ, ვლელავდი, რაიმე დაბრკოლება არ შემქმნოდა... მაგრამ არა... ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

კრეცი: რაკი ასეა, მოდით საღამოს შამპანური დავლიოთ.

კრისტენსენი: ოოო, კი, სიამოვნებით.

კრუზე ფრთხილად აძრობს დანას ზურგიდან.

კრეცი: მერე კინოშიც წავიდეთ კინოში, რამე სკანდალური ვნახოთ. მაგალითად „გაქცეული პატარძალი“ ან „ოთხი დღე ქორწილამდე“.

კრისტენსენი: ცუდი აზრი არაა; აი, ასე უბრალოდ... შუა კვირაში... დღეს, სხვათა შორის, ვაპირებდი დავრჩენილიყავი და კიდეც...

კრეცი: არაფერიც, დღეს ჩვენ წავალთ შამპანურის დასალევად...

კრისტენსენი: ჰო, ასეც მოვიქცევით...

კრუზემ არ იცის რა უყოს დანას, ამიტომ ფრთხილად უკანვე ზურგში არჭობს კრისტენსენს.

კრისტენსენი: (კრუზეს) რას აკეთებთ მანდ?

კრუზე: არაფერს... მე მხოლოდ... ვაბრუნებ, სადაც იყო.

კრისტენსენი ისევ ვერაფერს ამჩნევს. შეფის ოთახიდან შეუმჩნევლად გამოდის შმიტი. საუბარი ყავის მოსადურებელ აპარატთან ძველებურად მიმდინარეობს. შმიტს პირდაპირი გაგებით სახე აღარ აქვს: სახეზე ცომის დიდი გუნდა აქვსმიკრული. შმიტი ცდილობს სიგარეტს მოუკიდოს და მხოლოდ ახლა ამჩნევს, რა ჭირს სახეზე. ცდილობს ამ ცომიდან როგორმე თავისი ადრინდელი სახე გამოძერწოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ცომის ნაწილი ხელში რჩება. არ იცის რა უყოს ცომს, და ამიტომ მის ჭამას იწყებს.

კრისტენსენი: (კრეცის) ზოგჯერ სპონტანურობა საჭიროა...

კრეცი: ნამდვილად, საქმის გარდა, ზოგჯერ მაინც, საჭიროა ცოტათი იცხოვრო კიდეც...

კრისტენსენი: არც კი მახსოვს, ბოლოს როდის გავედი საღამოს ხალხში, ისე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე...

კრეცი: (იცინის) მეც ვერ ვიხსენებ. მგონი მაშინ, მოდაში სწორად გადაყოფილი თმა რომ იყო.

კრუზე ჩუმად აწმენდს სისხლიან ხელებს კრისტენსენის ტანსაცმელს.

კრისტენსენი: (ფიქრობს, რომ კრუზე აბამს) ახლავე შეწყვიტეთ! (კრეცის) დღეს ჩვენ უბრალოდ ავდგებით და თავს უფლებას მივცემთ...

კრეცი: ნამდვილად. კიდეც ყავა?

კრისტენსენი: არ არის საჭირო... ისედაც უცნაურად ვგრძნობ თავს...

სცენაზე მყოფნი ყურადღებას მიაპყრობენ შმიტს, რომელიც საკუთარ სახეს ჭამს. შმიტი ამჩნევს, რომ ყველა მას უყურებს და ტუალეტისაკენ მიემართება, თან ცდილობს რაც შეიძლება თავდაჯერებული ნაბიჯებით იაროს, თითქოს მაკიაჟის შესწორება სურს. კოლეგები ქირქილებენ. ხმოვანი სიგნალი, სანათი ინთება ინთება. ჰუფშმიდტი შეფის ოთახში შედის.

კრისტენსენი: *(ჯდება და მხოლოდ ახლაღა ამჩნევს, რომ ზურგში დანა აქვს ჩარჭობილი)* ეს რაღაა... ესღა... მორჩა, ახლა...

კრუზე: საქმე ასე არ კეთდება.

კრისტენსენი: ესე იგი, მე... ეს ხომ... ეს ხომ... არა, მე კიდევ... მე კიდევ ვამბობ... ნაყოფიერი საუბარი მქონდა-თქო... *(შემოდის ჰუფშიდტი, მისთვის ყველაფერი კარგადაა).* ისე უცნაურად ვგრძნობ თავს... არა.

კრუზე: გინდათ ჩაგეხუტოთ?

კრისტენსენი: გმადლობთ, მაგრამ არა მგონია ამან მიშველოს.

ჰუფშიდტი ოთახს კვეთს, გზად კრუზეს ხმაურიან სილას გააჩნავს და მიდის. კრუზე იმდენად გაოგნებულია, რომ ფიქრობს, ხომ არ მოეჩვენა ეს ყველაფერი.

5. ალიყურები

ჰუფშიდტი ბრუნდება, კიდევ ერთხელ გააჩნავს ხმაურიან სილას კრუზეს და გვერდს აუვლის.

კრუზე: *(პაუზის შემდეგ)* ვაი! ასე ჰო? ასე ჰო? ასე არა? მდაა, ჰოო... მგონი ვიღაცაში ვეშლები. მე ხომ მისთვის არაფერი დამიშავებია. ნამდვილად ვიღაცაში ვეშლები... ბატონებო, ნახავთ როგორ შერცხვება, აზრზე რომ მოვა. არ ვისურვებდი მის ადგილზე ყოფნას. ასე უბრალოდ ვერ დაიმგრენს თავს. დაე, ბოდიში მომიხადოს, როგორც საჭიროა. მე რას ვუპასუხებ, მოსაბოდიშებლად რომ მოვა? ალბათ ვეტყვი: თქვენ მე მატკინეთ, დიახ, მაგრამ ვის არ მოსვლია, არასდროს ვიმახსოვრებ ცუდს... და თუ მოსაბოდიშებლად ვახშამზე დამპატიჟებს, ვეტყვი...

შემოდის ჰუფშიდტი. კრუზე დაძაბული ელის მობოდიშებას.

კრუზე: გისმენთ...

ჰუფშიდტი კიდევ ერთხელ გაულაჩუნებს ხმაურიანად და გადის.

კრუზე: ჰმ... მდაა... აი, შენი ბოდიშიც! კომენტარის გერეშე. ასე არაფერი გამოვა! როგორც ჩანს, სულიერად აფორიაქებულია. ეტყობა რაღაც განსაკუთრებული შეემთხვა, რაკი ასე გამხეცდა, რომ სრულიად უმიზეზოდ... უმიზეზოდ! იქნებ ცოლმა განუცხადა დილით, რომ ტოვებს – და ეს ყველაფერი თვრამეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ. ან იქნებ, სახლში მივიდა და უცხო მამაკაცი დახვდა, მისსავე საბანაო ხალათით. შედის თავის აბაზანაში, იქ კი უცნობი მამაკაცი დგას და ეუბნება: „დილა მშვიდობისა!“ – ამ დროს ალბათ, გამობრუნდა და სახლიდან წამოვიდა. გულის სიღრმეში კი, ყველაფერი ჩაწყდა – აი საშინელება, ბატონებო. ეტყობა, ძალიან უყვარდა ცოლი, რაკი ასე აბოზოქრდა. და აი, მოდის სამსახურში და მხედავს მე. მე კი არც ვაციე, არც ვაცხელე და დავაბრეხვე: „დილა მშვიდობისა!“ – იქნებ იმავე ტონით, როგორც იმ კაცმა. ჰოდა, ვერ მოითმინა და აფეთქდა. მოკლე ჩართვა ქონდა, ასე ვთქვათ. მდაა. იქნებ იფიქრა, რომ მეც რამე მაქვს მის ცოლთან. მეც ხომ ვუთხარი: „დილა მშვიდობისა!“... მეცოდება.

შემოდის ჰუფშიდტი.

კრუზე: ორი რამ მინდა გითხრათ. ჯერ ერთი, არაფერი მქონია თქვენს ცოლთან, და მეორეც, თქვენი ძალიან კარგად მესმის. იცით, მეც შეემთხვა რაღაც მსგავსი: ერთ ქალს ვხვდებოდი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა, რომ...

ჰუფშიდტი კიდევ ერთ ხმაურიან სილას გააჩნავს და გადის.

კრუზე: ახ, თურმე რა. მას მგონი პოტენციის პრობლემა აქვს. ასე ვთქვათ, არ უდგება. საძაგელი იმპოტენტი!! ბატონებო, მას მართლაც ცუდად აქვს საქმე. მოკლედ სრულ აუტშია! არ შეიძლება ამ ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა. პირადად მე ეს არაფრით მიკავშირდება. არც კი გავბრაზდები.

შემოდის ჰუფშიდტი, ხმაურიანად გაულაჩუნებს კრუზეს და გადის. კრუზე ხელს იქნევს დასარტყმელად, მაგრამ თავი ხელში აყავს და ისევ ჩამოუშვებს.

კრუზე: არა. მე მას არ დავარტყამ. ხელები ჯიბეში! ჯიბეში!! მთავარია თავი არ დავკარგო. ეს შეცდომა იქნებოდა. თუმცა ჩემი ნება რომ იყოს, მე მას... მეც არ ვარ ქვის... ეშმაკმა დაწყევლოს, ეს ხომ უკვე მეხუთეა ზედიზედ! გინდა, არ გინდა, მოთმინებას კარგავ... მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. თუმცა სად გაგონილა ზედიზედ ხუთი სილა! ერთი ან ორი ჯანდაბას, მაგრამ ხუთი – ეს უკვე ნამდვილად აღარ არის შემთხვევითობა! აუცილებლად გავითვალისწინებ. მთავარია – ჯერ ერთი, შევინარჩუნო სიმშვიდე. მეორეც, დამატებითი ინფორმაცია მჭირდება. თუ სპეციალურად მირტყამს, ე.ი. საპასუხო რეაქციის გამოწვევა სურს, ჩემი პროვოცირება... ჰოდა, სწორედ ეს რეაქციაა მოსაფიქრებელი, არ შეიძლება პირდაპირ იერიზე გადასვლა, მოქმედების გეგმის შედგენაა საჭირო...

შემოდის ჰუფშიდტი, უნდა კრუზეს გვერდი აუქციოს.

კრუზე: აქ ვარ.

ჰუფშიდტი მორიგ სილას გააწნავს და გადის.

კრუზე: აქ უკვე თავად ვარ დამნაშავე. ამ ჯერად არ ითვლება... თუკი ასეთი სულელი ვარ... დიახ... ნათელია, გადაწყვიტა, რომ თვითონ გამოვიწვიე... ვერაფერს ვიტყვი, ამჯერად მე ვერ ვივარგე. რასაკვირველია, ეს მის საქციელს ვერ ამართლებს, მაგრამ... როგორც არის. ვის არ მოსვლია. აწი უფრო ჭკვიანურად მოვიქცევი.

ჰუფშიდტი ბრუნდება.

ჰუფშიდტი: (მეგობრულად) დილა მაშვიდობისა!

კრუზე: რა?

ჰუფშიდტი ისევ გააწნავს სილას და გადის.

კრუზე: რატომ ვეჩხუბო?! მე ხომ ეგრევე მივხვდი, რომ ჩემთან საუბარი სურდა. მომესალმა. ნათელია, რომ ბოდინის მოხდა უნდოდა. გონს მოეგო. მითხრა: „დილა მშვიდობისა!“ – და სურდა გაეგრძელებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გაბედა. არა, არ ვისურვებდი მის ადგილზე ყოფნას... საწყენია, რომ ბოლომდე ვერ ამოთქვა რა აწუხებს. შეგვეძლო ყველაფერი განგვეხილა, როგორც ადამიანებს. რატომ უნდა ვიჩხუბოთ?.. რაც არის, არის, პირველი ნაბიჯი გადადგმულია, კონტაქტი დამყარებულია...

ჰუფშიდტი ბრუნდება.

კრუზე: ერთი წუთით! თქვენ უკვე შვიდჯერ გამცხეთ სილა, და ვატყობ განზრახული გაქვთ მერვეც... ვფიქრობ... ეს უნდა განვიხილოთ.

ჰუფშიდტი: (მეგობრულად, საქმიანად) სწორია.

კრუზე: ჰოდა დავიწყოთ...

ჰუფშიდტი: ახლა არ მცალია. მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. მოდი ნახევარი საათის შემდეგ შევხვდეთ.

კრუზე: კარგი, იყო ნახევარი საათის შემდეგ.

ჰუფშიდტი: მომავალ შეხვედრამდე. (კიდევ ერთხელ უთავაზებს კრუზეს ალიყურს და გადის).

კრუზე: სხვათა შორის, მეც მაქვს დანიშნული შეხვედრა, მაგრამ საუბარი უფრო მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, ჩემი ნება რომ იყოს... მაგრამ არა, მოიცა... მეც წავიდოდი, მაგრამ იფიქრებს, რომ... არა, არსადაც არ წავალ. ამ ყველაფრის მერე, რაც მოხდა... არავითარ შემთხვევაში. ჩემთან ეს ნომერი არ გაუვა.

ჰუფშიდტი: (შემოდის და ხმაურიანად ულაწუნებს). ჩვენ ამას აუცილებლად განვიხილავთ (გადის).

კრუზე: დიახ, ჩვენ ამას აუცილებლად განვიხილავთ!

პაუზა

კრუზე: უკვე 45 წუთი გავიდა, ჩვენ კი ნახევარ საათზე შევთანხმდით. რა წესია ახლა ეს?! ვგრძნობ, საუბარი გაგვიგრძელდება.

ჰუფშიდტი: (შემოდის. მეგობრულად, საქმიანად). შეხვედრა გვაქვს დანიშნული?

კრუზე: დიახ, შეხვედრა! თქვენ 15 წუთით დაიგვიანეთ!

ჰუფშიდტი: უკაცრავად, და რის შესახებ გსურთ საუბარი?

კრუზე: მმმმ... ალიყურებზე.

ჰუფშიდტი: ალიყურები, ალიყურები... ა, ჰო... და რა მერე?

კრუზე: მე... ვთვლი, რომ ეს არაა ლამაზი თქვენი მხრიდან. უფრო სწორად, რა თქმა უნდა, მზად ვარ თქვენს მდგომარეობაში შევიდე, მაგრამ თქვენი საქციელი მაინც არასწორად მიმაჩნია.

ჰუფშიდტი: ამაზე ვიფიქრებ (გადის).

კრუზე: დიახ, დიახ. ასეც ვფიქრობდი, რომ მთავარია თავი არ დაგვარგო და ნათლად წარმოვაჩინო საქმის არსი.

ჰუფშიდტი ბრუნდება, სილას გააჩნავს და გადის.

კრუზე: მორჩა, ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს!

პაუზა

ჰუფშიდტი ბრუნდება და კიდევ ერთხელ გააჩნავს სილას.

კრუზე: არა, ასე ველარ გაგრძელდება!!!

ჰუფშიდტი საფუძვლიანად გასცხებს და გადის.

კრუზე: ე.ი. ასე გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ნათელია, რომ ეს ამბავი მალე არ დასრულდება. ამისთვის მომზადება მომიწევს. შესაძლოა წლები გაგრძელდეს. ან იქნებ, მთელი ცხოვრება. პირადად მე, შევეცადე მომეგვარებინა ეს საქმე, როგორც შემეძლო. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

6. დატვირთული დრო – High Noon

ჰუფშიდტი, შმიტი, მოგვიანებით კრეცკი.

ჰუფშიდტი: დილა მშვიდობისა!

შმიტი: დილა მშვიდობისა!

ჰუფშიდტი: უკვე გაიგეთ, რომ ერთად მოგვიწევს მუშაობა?

შმიტი: რა თქმა უნდა – *გული მერევა შენზე* – ძალიან მახარებს ეს ამბავი.

ჰუფშიდტი: იქნებ წინასწარ შევხვდეთ და ვისაუბროთ ამ თემაზე – მე *უკვე ამერია გული შენზე* – გეგმები დავაწყობ?

შმიტი: კარგი აზრია – *არ მომეკარო, ნაძირალავ* – მოდი ასეც მოვიქცეთ.

ჰუფშიდტი: ჩემთვის საინტერესოა თქვენი – *აბა, გაიწი*.

შმიტი: *არც ერთი ნაბიჯით.*

ჰუფშიდტი: *მაგასაც ვნახავთ ვინ ვის* – თქვენი მოსაზრებები პროექტის შესახებ. იქნებ ხვალ შემომიაროთ კაბინეტში?

შმიტი: *ეგლა მაკლია, ნაძირალავ* – ერთი წუთით, დაფიქრდე – *მეტი საქმე არა მაქვს, კაბინეტში გეწვიო, პირდაპირ სირბილით გამოვქანდები.*

ჰუფშიდტი: 2-ზე, გაწყობთ?

შმიტი: *ხომ არ გააჯვამდი* – ერთად ხომ არ გვესადილა, მაგალითად სამის ნახევარზე? აქ, ახლოს ერთი კარგი რესტორანია, „იადეგარდენი“ ჰქვია. – *აბა, გაბედე და უარი თქვი – გამოვა, რომ ვერ გაქაჩავ* – გემრიელი სუში აქვთ – *მომინდომა კაბინეტში დაპატიჟება* – გიყვართ სუში?

ჰუფშიდტი: ლამაზი ქალის საზოგადოებაში – რა საკვირველია... მე გეპატიჟებით – *სადილის შემდეგ "მადლობასაც" გადამიხდი მორჩილად.*

შმიტი: რა თავაზიანობაა თქვენი მხრიდან – *ჯერ კიდევ არ იცი, რომ ათასი ევროს სუშის შეჭმა შემიძლია და შემდეგ ისეთ გულითად მადლობასაც გადაგიხდი, ვერასოდეს დაივიწყებ.*

ჰუფშიდტი: როდესაც იაპონიაში ვიყავი...

შმიტი: *ქერტლი გაყრია საყელოზე.*

ჰუფშიდტი: როდესაც იაპონიაში ვიყავი, მქონდა ბედნიერება...

შმიტი: *ქერტლი გაყრია საყელოზე.*

ჰუფშიდტი: ... გამეცნო განთქმული მზარეული – სუშის სპეციალისტი.

შმიტი: ქრტლი გაყრია საყელოზე.

ჰუფშიდტი: აღრფთოვანებული ვარ იაპონელებით, ისინი...

შმიტი: ქრტლი გაყრია საყელოზე.

ჰუფშიდტი: ... ყოველდღიურ ყოფითობასაც კი...

შმიტი: ქრტლი გაყრია საყელოზე.

ჰუფშიდტი: (პიჯაკს იხდის) ... ნამდვილ რიტუალად აქცევენ – მე შენ გიჩვენებ, ამაზრზენო.

შმიტი: თვითონ ამაზრზენო – ოდესღაც იაპონური ჩაის სმის ცერემონიაზე მოვხვდი.

ჰუფშიდტი: მართლა? რა საინტერესოა. დაწვრილებით მომიყვებით ხვალ? – მაინც მოგიწევს ჩემ კაბინეტში მოსვლა – კაბინეტში იაპონური ჩაის ფიალა მაქვს, იშვიათი სილამაზის.

შმიტი: არც იოცნებო.

ჰუფშიდტი: სიამოვნებით გაჩვენებთ.

შმიტი: მე ვიცი რასაც გაჩვენებდით, იაპონელო თბა.

ჰუფშიდტი: არშემდგარო ლესბო.

შმიტი: რა საინტერესოა, სიამოვნებით ვნახავ თუ შესაძლებლობა მომეცემა.

ჰუფშიდტი: თუ გნებავთ, ახლავ შეგვიძლია შევიდეთ ჩემს კაბინეტში.

შმიტი: იქნებ, მოგვიანებით, – თათბირი რომ გექნება – ასე 4-თვის.

ჰუფშიდტი: 4-თვის ვერ შევძლებ, თათბირი მაქვს.

შმიტი: ვიცი, კრეტინო.

ჰუფშიდტი: თან შეიძლება გაიწელოს, მნიშვნელოვანი ცვლილებები გველის.

შმიტი: ნამდვილად – რა ჯანდაბის ცვლილებები, რატომ არაფერი ვიცი ისევ? – თუმცა, შესაძლოა უკეთესიცაა.

ჰუფშიდტი: ჰო, დიდი ხანია რაღაცები შესაცვლელია – ერთი სული გაქვს გაიგო რაზე ვამბობ? – ყველაფერი აქეთ მიდიოდა – დაფრთხი?

შმიტი: ვერ შემაშინებ, ვერ შემაშინებ... რა ჯანდაბა ხდება და რატომ არაფერი ვიცი ისევ?

ჰუფშიდტი: გალერთან უნდა გავიარო ეს საკითხი მანამდე.

შმიტი: ის რაღა შუაშია, რა კავშირი ამასთან? – ხო, უკვე მეც მქონდა შეხვედრა მასთან.

ჰუფშიდტი: შენ რაღა საქმე გქონდა იმასთან?

შმიტი: ჰა, დაფრთხი?

ჰუფშიდტი: ვერ შემაშინებ – მიკვირს, რომ არ მოგიწვიეს დღევანდელ თათბირზე.

შმიტი: ლაქა გაქვს შარვალზე.

ჰუფშიდტი: არანაირი ლაქა არა მაქვს – ეს ხომ თქვენც გეხებათ.

შმიტი: ლაქა გაქვს შარვალზე.

ჰუფშიდტი: უცნაურია, რომ არ დაგიძახეს.

შმიტი: ლაქა გაქვს შარვალზე.

ჰუფშიდტი: ალბათ შემთხვევით მოუვიდათ.

შმიტი: რა?

ჰუფშიდტი: ალბათ შემთხვევით გამორჩათ თქვენი საქმის კურსში ჩაყენება.

შმიტი: იცით, დარწმუნებული ვარ, რომ საერთო ჯამში, ყველაფერის საქმის კურსში ვარ – ჯანდაბა, ისევ რაღაც ხდება ჩემს ზურგს უკან – გარდა ამისა, ჩვენ ხომ მთელი კოლექტივი ერთად მივდივართ სამსახურის შერმდეგ სქულოშის სათამაშოდ – შენთვის არ დაუბახიათ, ასე რომ დაახვიე.

ჰუფშიდტი: სქულოშის... რა ცუდია, რომ დღეს არ მცალია – რა? ყველანი ერთად მიდიან სქულოშის სათამაშოდ? რას უნდა ნიშნავდეს ეს? – ერთ ჩვენს თანამშრომელს ვხვდები – ეს ვინღა მოიგონა?

შმიტი: მე, დამპალო – იცით, ეს სპონტანური იდეა იყო, ერთმანეთს შევხვედროდით არაოფიციალურ გარემოში.

ჰუფშიდტი: მესმის.

კრეკვი: დილა მშვიდობისა!

შმიტი/ჰუფშიდტი: დილა მშვიდობისა!

შმიტი: როგორ მიდის საქმე?

კრეცი: ნორმალურად!

ჰუფშიდტი: შენლა გვაკლდი.

შმიტი: დაახვიე რა.

კრეცი: გავიგე, რომ ერთად მოგიწევთ მუშაობა.

ჰუფშიდტი: ჰო, ორივეს ძალიან გვიხარია.

შმიტი/ჰუფშიდტი: გული მერევა შენზე.

კრეცი: მდა, უნდა მოვემზადოთ ცვლილებებისათვის.

შმიტი: შენ საიდანღა იცი ამის შესახებ?

კრეცი: შენზე მეტი მაინც ვიცი.

ჰუფშიდტი: ჰო, 4 საათზეა თათბირი.

კრეცი: ასეა, ერთი 4 საათზეა – მაინტერესებს ერთი რომელი თქვენგანია ამაში გარეული – მეორე კი 6-ზე.

პაუზა

ჰუფშიდტი: 6-ზე?

შმიტი: შენი ხრიკებია ნაბიჭვარო.

კრეცი: აბსოლუტურული სიმართლეა, ჩემი ხრიკებია – უცნაურია, რომ მოგაწოდეს ინფორმაცია.

შმიტი: სახიფათო ტიპია. დროა ჩამოვიშორო.

ჰუფშიდტი: წაეკვლეუცე, გიჟდება შენზე.

შმიტი: დღეს არაოფიციალურ ვითარებაში ვაპირებთ შეხვედრას, სქუოშის სათამაშოდ.

კრეცი: სამწუხაროდ, 6 საათზე თათბირზე უნდა ვიყო – გიჩვენებთ სეირს! ჯერ შენ დაგმარხავ, მერე შენ.

შმიტი: მე კი – ჯერ შენ და მერე შენ.

ჰუფშიდტი: მე კი – ორივეს.

კრეცი: დაგმარხავთ.

შმიტი: ერთი გაბედე.

ჰუფშიდტი: ნაბიჭვარო.

კრეცი: ჩემთან ხომ არ შემოივლიდით მოგვიანებით – ასე, 8-სთვის? არაოფიციალურ ვითარებაში. ბევრ რამეზე გვაქვს სასაუბრო.

ჰუფშიდტი: კიდევ რა საიდუმლოებები გაქვს?

შმიტი: ოფლის ლაქები გაქვს ილლიაში.

ჰუფშიდტი: 8-სთვის...

შმიტი: ოფლის ლაქები გაქვს ილლიაში.

ჰუფშიდტი: ერთად ხომ არ გვევახშმა?

შმიტი: ოფლის ლაქები გაქვს ილლიაში.

კრეცი: რატომაც არა – მაინც მოგიწევს ჩემს კაბინეტში შემოსვლა.

შმიტი: ოფლის ლაქები გაქვს ილლიაში.

კრეცი: (შმიტს) არაფერი გამოგია.

შმიტი: ჯანდაბა.

ჰუფშიდტი: აი ნახავ, თუ ტრაკზე არ დაგსვამ.

კრეცი: შენ თვითონ ხარ ტრაკი – წავიკითხე თქვენი ნაშრომი და ძალიან მომეწონა – თავაზიანი ვიქნები, კომპლიმენტებში ჩაგახრჩობთ – ჩანს, რომ სერიოზულად მიუდევით საქმეს.

ჰუფშიდტი: ნუ უსმენ, შენი ნაშრომი თვალისათვის არ უნახავს.

შმიტი: წადი შენი.

კრეცი: ჩემი აზრით, ჩვენი შესაძლებლობებისთვის, ზედმეტად მასშტაბურია.

ჰუფშიდტი: მე ასე არ ვფიქრობ!

კრეცი: მინდოდა ამის შესახებ გვესაუბრა.

ჰუფშიდტი: ტვინს გიბურღავს!

შმიტი: სულელი არ ვარ, მეც ვხვდები!

კრეცი: იდეა მაქვს, როგორ მოიძიოთ თქვენი მასშტაბების შესაფერისი ჩარჩო...

შმიტი: ... აჰა, და ჩემი ნაშრომი შენად გაასაღო.

კრეცი: აბა რა გეგონა?

ჰუფშიდტი: არ დაუჯერო, არ გააბრიყვებინო თავი!

კრეცი: ფრთხილად, 6-ზე თათბირი მაქვს. – მოკლედ, ვთვლი, რომ თქვენს ნაშრომს სათანადოდ ვერ აფასებენ, მინდა მეტი ყურადღება მივაქცევინო. – ვერ დამიმიძვრები: მეტად თავაზიანი ვარ.

შმიტი: კარგად გიცნობ, თავაზიანი – მიხარია, რომ ასე თვლით.

ჰუფშიდტი: ჰო, მართლა, ისევ გეშინია მწერების?

კრეცი: მორჩი, შე ღორო, ახლავე შეწყვიტე.

ჰუფშიდტი: აჰა, ე. ი. გეშინია – თუ გნებავთ, სალამოს ჩემ კაბინეტში შევიკრიბოთ.

შმიტი: მე შენს კაბინეტში არ მოვალ.

ჰუფშიდტი: უი, მომეჩვენა რომ, თქვენ ყურბელა....

კრეცი: ააა!..

ჰუფშიდტი: ე.ი. 8-ზე.

შმიტი: პერანგ ზე ყურბელა გაზის.

კრეცი: ა, ეს... დიახ, დიახ.

შმიტი: პერანგ ზე ყურბელა გაზის.

კრეცი: შეწყვიტე – როგორც გითხარით, დღეს გვიანობამდე ვმუშაობ.

შმიტი: პერანგ ზე ყურბელა გაზის.

კრეცი: ძალიან გამიხარდებოდა, თუკი...

შმიტი: პერანგ ზე ყურბელა გაზის.

კრეცი: მიშველეთ... უნდათ რომ წყობილებიდან გამომიყვანონ.

შმიტი/ჰუფშიდტი: გამოგიყვანთ.

ჰუფშიდტი: ხომ კარგად ხართ?

კრეცი: რა თქმა უნდა, მე, მმ, უნდა... ძალიან მეჩქარება, მოგვიანებით გნახავთ. (გადის.)

შმიტი: მომწონს, ყოველთვის მხიარულია და სულ კარგ ხასიათზეა.

ჰუფშიდტი: ვწუხვარ, რომ წავიდა. კარგი, ხვალაც შევხვდებით. – მე შენ გიჩვენებ.

შმიტი: ხვალამდე – მოემზადე, შე იმპოტენტო!

ჰუფშიდტი: როგორ?

შმიტი: რა?

ჰუფშიდტი: რა თქვით?

შმიტი: დაგემშვიდობეთ.

ჰუფშიდტი: ააა, ხვალამდე.

7. სრული ყლეობა

კრისტენსენი ცდილობს დაწეროს წერილი შეფის სახელზე და უკვე მერამდენედ იწყებს თავიდან. ძალიან აღელვებულია.

კრეცი: უკაცრავად, შეიძლება ერთი წუთით კალამი ვითხოვო თქვენგან?

კრისტენსენი: არა, კანტორა დაკეტილია.

კრეცი: მხოლოდ ვიკითხე...

კრისტენსენი: მეც მხოლოდ გიპასუხეთ "არა", და ვისურბედი ერთხელ მაინც გაიგოთ ეს და შემშვათ. მე მაქვს უფლება გითხრათ "არა". არ ვარ ვალდებული მოგიბოდიშოთ და არც ვაპირებ! აბა შეეცადეთ ნამუსზე ამაგდოთ, – მაინც არ მოგცემთ კალამს, და სულაც არ მრცხვენია, უფრო სწორად საწყენი ისაა, რომ მე, რა თქმა უნდა, მაინც მრცხვენია და ვფიქრობ: ნუ რა არის ასეთი – არ აქვს კალამი, მანაც მთხოვა, არავითარი ტრაგედია ამაში არ არის. ჰო, ტრაგედია არ არის, სამაგიეროდ სახეზეა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

კრეცი: უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება?

კრისტენსენი: ჩემს ინტიმურ სფეროში შემოჭრა, ჩემს პირად სივრცეში, რომელიც მინდა ხელშეუხებელი იყოს და უკან არ დავიხევ, და ამას გეუბნებით კიდევ პირში! მე აქ იმისთვის არ ვარ, რომ თქვენი საქმეები ვაგვარო. ეს თქვენი პრობლემაა, კალამი რომ არ გაქვთ, და შესაძლოა არ გსიამოვნებთ ეს, მაგრამ ამ მომენტისთვის არავითარი სურვილი არ მაქვს დაგეხმაროთ, გესმით ეს თქვენ თუ არა?

კრეცი: მისმინეთ...

კრისტენსენი: არ მოგისმენთ! ჯერ არ დამიმთავრებია და ნუ მაწყვეტინებთ. ისევ ბოროტად იყენებთ თქვენს უფლებამოსილებას. ყველა ბოროტად იყენებს, მაგრამ აღარ ვაპირებ დამცირების მოთმენას! ყელში ამომივიდა, რომ ყველა იჭრება ჩემს პირად სივრცეში და ფეხებით თელავენ ჩემს გრძნობებს! ჩემი გრძნობები – ჩემი ნაწილია და თუ ამ მომენტში გაბრაზებული ვარ თქვენზე, ამაში არაფერი გასაკვირი არ არის, იმიტომ, რომ თქვენ რეგენი ბრძანდებით! აი, მგონი ამოვთქვი და შემიძლია სხვა გრძნობებიც გამოვუშვა გარეთ: მაგალითად, თქვენ მე ძალიან მომწონხართ, და სულაც არ ვიქნებოდი წინააღმდეგი უფრო ახლო ურთიერთობა გვქონოდა – იმ პირობით, რომ თითოეული ჩვენგანი თავს კონტროლს გაუწევდა და მზად ვიქნებოდით მოგვესმინა ერთმანეთისთვის. მაგალითისთვის, თუ რამეს შემოგთავაზებთ, ჯერ უნდა მომისმინოთ, იმის მაგივრად, რომ იყვიროთ სრული ყლებობაო! ეს თრგუნავს ჩემს გრძნობებს! ჩემი გრძნობები კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი ნაწილია... გაქვთ სურვილი გამჟიმოთ?

კრეცი: რა?

კრისტენსენი: გეკითხებით, გაქვთ თუ არა სურვილი გამჟიმოთ? ეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, და არაფერი სამარცხვინო ამაში არაა! თქვენ კი ისეთ სახეს იღებთ, თითქოს სამარცხვინოა, არადა სულაც არ არის სამარცხვინო, იმიტომ, რომ ბუნებრივია. რაც ბუნებრივია, ის არ არის სამარცხვინო. მაგრამ თქვენ უკვე თხზავთ მთელს ისტორიას ამისგან, ასე, რომ ახლა მეც ძალიან მრცხვენია – იმდენად, რომ მინდა მიწა გამისკდეს და ქვესკნელში ჩამიტანოს. და მაინც, ეს ყლებობა არ არის, საქმიანი შემოთავაზებაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება ერთმანეთთან განვიხილოთ: მაგალითად, იდეა თავისთავად სულაც არაა ცუდი, უბრალოდ ამ მომენტში უადგილოა, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში ის შეიძლება ვაქციოთ რეალობად, ოღონდ როგორ – საკითხავი აი ეს არის. მე შემოვდი წინადადებით და მტკიცედ ვდგავარ ჩემს აზრზე. არ ვაპირებ გაქცევას და დამალვას: ყველაფერს გავუძლებ!

კრისტენსენი მიდის ტუალეტისკენ. უცებ შემობრუნდება.

ღმერთმა არ ქნას!

შედის ტუალეტში. ტუალეტიდან.

ყველაფერი სწორად გავაკეთე! ვიმოქმედე ღიად და გულწრფელად! პირდაპირ გამოვუტყედი ჩემს გრძნობებში. აწი უკვე მისი პრობლემაა, და არაფერი საშინელი იმაში არაა, რომ ახლა ძალიან მარტოსულად ვგრძნობ თავს, – იმდენად მარტოსულად, რომ მზად ვარ ყმული დავიწყო. მაგრამ თუ ასე ღრმად შევიგრძნობ ჩემს სიმარტოვეს, ამაში არის რაღაც დადებითიც. ეს ნიშნავს, რომ მე შევძლებ გავერკვე ჩემს გრძნობებში და გამოვათავისუფლო ისინი!

ვიდრე კრისტენსენი ლაპარაკობს, კრეცი მიდის სვეტთან და მონეტას აგდებს ჭრილში. კოლონა იხსნება და ის შივნით შედის.

8. მეც ადამიანი ვარ!

კრეცკის ხმა ისმის სვეტიდან. ჰუფშმიდტი, შმიტი და კრუზე უკიდურესი ნერვული აღზნების მდომარებაში არიან; ჰაერი გაჟღენთილია უგონო აგრესიით.

კრეცკი: მე მას კალამი ვთხოვე, მხოლოდ და მხოლოდ ვთხოვე, ვიკითხე, შეიძლებოდა თუ არა მისი კალამი ამელო! ნუთუ თხოვნაც აღარ შეიძლება ისე, რომ არ გიყვირონ? თავზიანად დავსვი სრულიად ნორმალური შეკითხვა! სექსის გარყვნილ ფორმებს ხომ არ ვითხოვდი? მხოლოდ და მხოლოდ კალამი ვთხოვე! აჰ მგონი ყველა შეიშალა! და ვისაც არ ეხარება, ჩემზე ანთხევს თავის ცუდ განწყობილებას: ჩემთან შეიძლება, მე ხომ განტევების ვაცი ვარ მთელი კანტორისთვის! ყოველთვის მხიარული, კარგ განწყობაზე, ამოწყდით ერთ დღეს! ვისაც უნდა თავზე მაჯვამს, რა უბედურებაა! მე რა, შუბლზე მაწერია, რომ ფსიქიკური ნარჩენების ნაგავსაყრელი ვარ? მე რა, პრობლემები არ მაქვს? მე რა, ყოველთვის ყველაფერი რიგზე მაქვს? ამოწყდით!

კრუზე: ვეცდები მოვდუნდე. *(წვება იატაკზე, მოწყენილი სახით)*

კრეცკი: მე ხომ ფულს ვიხდი ფსიქოლოგთან სიარულში! რა საჭიროა, თუკი შეგიძლია პირველსავე შემხვედრზე გადმოანთხიო შენი სულიერი მძღნერი? ასე ხომ ადვილიცაა და მოსახერხებელიც! დალახვროს ეშმაკმა, მინდა უბრალოდ მშვიდად ვიმუშაო. მინდა უბრალოდ...

კრეცკი გამოდის სვეტიდან, ხედავს კრუზეს, რომელიც იატაკზე სანთლის პოზას აკეთებს, ჰუფშმიდტს, რომელიც მაგიდაზე თავის ფურცლებიან საქალაქდებში იქექება. შმიტს სახე ულურჯდება. კრეცკი ისევ აგდებს მონეტას სვეტში და ისევ შედის შიგნით.

ეს რა საგიჟეთია! ჭკუიდან შეიძლება გადახვიდე! აჰ ყველა სრულიად არანორმალურები არიან! რატომ უნდა ვიმუშაო არანორმალურებთან? მუდმივი ისტერიკები, რაღაც კომმარია! დალახვროს ეშმაკმა, მეც ხომ ადამიანი ვარ! რატომ მექცევიან როგორც ყავის მოსადუღებელ აპარატს, – ექსპლუატაციას მიწევნ, თანაც ტყუილუბრალოდ იქ ფულს მაინც აგდებენ, მე მხოლოდ ჯართად მთვლიან! მიუხედავად ამისა, ყველას ვაწვდი ფინჯან ყავას, თან თავაზიანად – მე ხომ როგორც უნდათ ისე შეუძლიათ მომექცნენ! მაგრამ მეც ადამიანი ვარ, და მეც მწყინს! ა-ა-ა! მესამე ხარისხის დამწვრობა მაქვს – მოვითხოვ ზარალის ანაზღაურებას!

კრეცკი გამოდის სვეტიდან, კრისტენსენი ტუალეტიდან, კრუზე დგება, თავისი საქალაქდეს იღებს.

კრისტენსენი: დილა მშვიდობისა!

კრეცკი: დილა მშვიდობისა!

ჰუფშმიტი: დილა მშვიდობისა!

შმიტი: დილა მშვიდობისა!

კრუზე: დილა მშვიდობისა!

9. ძაღლები

კრუზე საქალაქდით ხელში მიემართება შეფის კარისკენ. შემთხვევით საქალაქდე დაუვარდება. მას ჰუფშმიდტი იღებს.

კრუზე: მადლობა.

ჰუფშმიდტი ჯდება და საქალაქდეს ფურცლავს.

კრუზე: ზოგადად, წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ახლა ვისურვებდი რომ უკან დამიბრუნოთ.

ჰუფშმიდტი: არც ისე ურიგო აზრია. სულ ტყუილად გადააგდეთ.

კრუზე: ჰო, მაგრამ... მე არ... დამივარდა.

ჰუფშმიდტი: დაგივარდათ და დაემშვიდობეთ. უკვე ჩემია.

კრუზე: არა, ჩემია.

ჰუფშიდტი: ადრე უნდა გეფიქრათ.

კრუზე: კი მაგრამ... ასე არ შეიძლება. ხომ ყველამ, რომ ჩემი საქალაქია.

კრუზე ცდილობს წაართვას საქარალდე. ჰუფშიდტი მუქარის ნიშნად იღრინება. პაუზა

კრუზე: ასე არ შეიძლება. ახლავე დამიბრუნეთ, თუ შეიძლება. რას აკეთებთ, ჩემია.

ჰუფშიდტი უფრო საშიშად იღრინება.

კრუზე: მისმინეთ, ასე არ შეიძლება.

მთელი ამ დროის მგანმავლობაში კრუზე კოლეგებისადმი ზურგით დგას. შემდეგ მათკენ ტრიალდება და სახეების ნაცვლად ხედავს 4 ძაღლის სიფათს. კრეკვი გადაიქცა – ირლანდიურ სეტერად, შმიტი – რიზენშნაუცერად, ჰუფშიდტი – პიტბულად, კრისტენსენი – შპიცად.

კრუზე: თქვენ რა, სულ... ასე არ ვთამაშობ...

კრისტენსენი: (წუთიერად უბრუნდება ადამიანის სახე) საერთოდ, არც მე მომწონს ეს. მაგრამ თუ წარმოიშვება კონფლიქტი, საჭიროა...

პიტბული უღრენს მას. კრისტენსენი შეშინებული იწყებს წკავწკავებს.

კრუზე: იცით რა...

რიზენშნაუცერი უღრენს კრუზეს, შეშინებული კრუზე გრძელბეწვიანი ტაქსას სახეს იღებს და საპასუხოდ წკავწკავებს. ირლანდიური სეტერი და პიტბული ღრენით ალყას შემოარტყამენ საქალაქს. ტაქსა პოზიციებს თმობს და კბილების კრაჭუნით მიდის. რიზენშნაუცერი საქალაქსთან მისვლას ცდილობს, მაგრამ სეტერი და პიტბული თავს ესხმიან და კბენენ. რიზენშნაუცერი ტკივილისაგან წკმუტუნებს. შპიცი ენაგადმოგდებული წევს იატაკზე და საკუთარ თავს თავაზობს ყველას. პიტბულს რაღაცაზე გადააქვს ყურადღება, სეტერი დასწვდება საქალაქს და გარბის, ტაქსა გამოეკიდება, რიზენშნაუცერი პიტბულს ჰალსტუხში წვდება. პიტბული სეტერს მისდევს, რიზენშნაუცერი ცდილობს შპიცს გადააწვეს, მაგრამ პიტბული აგდებს მას და თვითონ გადააწვება შპიცს. საქალაქე ტაქსას რჩება; პიტბული ამას ვერ ეწინააღმდეგება, იმიტომ რომ შპიცს ვაგინალური სპაზმი აქვს, და ა.შ. ბოლოს და ბოლოს ირლანდიური სეტერი საქალაქით შერბის შეფის ოთახში. დანარჩენები ჯდებიან და წკმუტუნებენ. თითქოს არაფერიო, თანდათანობით ძაღლები ადამიანებად იქცევიან.

კრეკვი: (ბრუნდება. მას მასხარას დიდი ქალაქის ქუდი ახურავს. ჯდება და იხსნის ქუდს). არ შეიძლება ყველაფერი სერიოზულად აღვიქვა... ყავას კიდევ ინებებთ? ეს ხომ უბრალოდ ხუმრობაა...

10. გულითადი საუბარი

კოლეგები პატარა მაგიდის ირგვლივ სხედან ერთმანეთთან ძალიან ახლოს. პაუზა. სიმჭიდროვე დამაბულ ატმოსფეროს ქმნის; მის განსამუხტავად, ყველა მოწევას იწყებს, კრისტენსენის გარდა.

კრისტენსენი: არ მომწონს, ყველა რომ ისევ ეწევით. ჯანდაბას, მერე გავანიავოთ. ჰმ, საერთოდ მიხარია, რომ ყველა შევიკრიბეთ. ვფიქრობ, გვჭირდება ერთმანეთთან საუბარი – ჩვენს შორის ხომ ბევრი წყენა დაგროვდა. იქნებ, ყოველმა ჩვენთაგანმა შეაფასოს შექმნილი ვითარება, რაში ხედავს გამოსავალს?

გამეფებული უხერხული სიჩუმე უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 6 წუთის განმავლობაში. ეს არ არის მკვდარი სიჩუმე. პირიქით, მძიმე, მნიშვნელოვანი და იმ დონემდე ემოციურად დამუხტული, რომ რომელიმეს სიტყვაც რომ წამოსცდეს, ყველას მომენატალურად ამოხეთქვდა. მოყვებოდა ცრემლი, მრისხანება და სასოწარკვეთა; შეიძლებოდა ამოეთქვათ გულის ნადები, ესაყვედურათ მუდმივ წყენებსა და დამცირებებზე, განეხილათ შიშები და ეჭვები, ეცადათ გადაეჭრათ პრობლემები, ეპოვნათ ერთმანეთთან საერთო ენა. შეეძლოთ. პირობითად. არავის არ სურს პირველმა ილაპარაკოს. ამ უხერხულობის გამო ყველა რაღაცის კეთებას იწყებს: ერთი სიგარეტის კოლოფს ათამაშებს, მეორე ჰალსტუხს ძაფებს აწყვეტს, ვიღაც ჩხვირს იწმენდს, რითაც დანარჩენების ყურადღებას იქცევს, და არ

იცის სად წაიღოს ერთჯერადი ცხვირსახოცი; სიჩუმეში მობილური ტელეფონის ზუზუნის ხმა ისმის, რომელსაც ვიღაც ნაჩქარევად თიშავს, და ა.შ.

ბოლოს და ბოლოს ყველანი მორცხვად იშლებიან (გადიან).

კრისტენსენი: (ჩუმად) დროებით.

კრეცკი: დროებით.

შმიტი: დროებით.

კრუზე: (დგება და კრეცკის მიმართავს) დღეს დილით რაღაც სასაცილო შემემთხვა...

კრეცკი შეფის ოთახში შედის.

კრუზე: (შმიტს) დღეს დილით რაღაც სასაცილო შემემთხვა...

შმიტი გადის.

კრუზე: (კრისტენსენს) დღეს დილით რაღაც სასაცილო შემემთხვა...

კრისტენსენი ტუალეტში შედის ისე, თითქოს გული ერევს. კრუზე მარტო რჩება, მაგრამ სიმარტოვის მიუხედავად არ წყვეტს ფიქრს, რომ რაც მას შეემთხვა, იყო სასაცილო.

შმიტი: (შემოდის) დილა მშვიდობისა!

კრუზე: დილა მშვიდობისა!

კრისტენსენი: დილა მშვიდობისა!

შეფის ოთახიდან გამოდის კრეცკი, თავზე უზარმაზარი სულელური ქალაქის ქუდი ახურავს. ზღურბლთან ჩერდება, ცდილობს რაც შეიძლება თავდაჯერებულად გამოიყურებოდეს.

კრეცკი: ა, ჰო, ქალბატონო შმიტ, თქვენი ნაშრომის შესახებ... (აგდებით) ნაშრომი – იდიოტო-ვოლგოტი გაგეხათ... მაპატიეთ. (უნებლიედ საცეკვაო ილეთს ასრულებს. ცდილობს თავი ხელში აიყვანოს. სერიოზულად) ამასთან, მინდოდა ერთ საკითხზე გაგსაუბრებოდით (გალიზიანებული სიცილით) ჰა-ჰა, გაგსაუბრებოდით – გამესუსლელეზინეთ, და თან სიყვარული ამეხსნა (ისევ სერიოზულად) ჰო, აი, რაზე მსურდა გაგსაუბრებოდით... (ისევ უტყდება იდიოტური სიცილი, სერიოზულად) საინტერესო პროექტი – ისეთი... კარგი პროექტია... (თავს ვერ იკავებს და მღერის) ა და ბ ისხდნენმილზე ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა! ნუ დეღავთ, ვხუმრობ! (კიდევ ერთხელ ცდილობს თავი ხელში აიყვანოს. სერიოზულად), კარგი იქნებოდა (სულელურად) ყველანი მოვდუნებულიყავით ცოტათი...

პიჯაკს შეიხსნის, იწყებს ანეკდოტების მოყოლას, ყველას უტყდება სიყვარულში, ისე იქცევა თითქოს აიწყვიტა. დანარჩენების გაყინულ დუმბილს, ის ნელ-ნელა მოყავს გონზე; აუტანლად შერცხვება და გადის.

11. საერთოდ რას გაჩნდი ამ ქვეყანაზე?!

შეფის ოთახიდან გამოდის ჰუფშმიდტი. იგივე კოსტუმი აცვია, რაც მანამდე, მაგრამ ახლა კოსტუმი და ჩექმეები შესამჩნევად დიდი აქვს. ჰალსტუხი და სახელოები თითქმის იატაკამდე კიდია. ზრდასრული ადამიანის ტანისამოსში გამოწყობილი ბავშვივით გამოიყურება. ცდილობს, რაც შეიძლება დაუდევრად გააბოლოს თავისი სიგარილა, მაგრამ არაფერი გამოსდის.

კრუზე: დილა მშვიდობისა!

ჰუფშმიდტი: დილა მშვიდობისა!

კრუზე: მიირთმევთ ყავას?

ჰუფშმიდტი: მე... მაღლობა.

იხსნება კარადა. იქ დგანან დედა და მამა. მათ თამაშობენ კრისტენსენი და კრეცკი. ჰუფშმიდტს უჭირს ყავის ფინჯნის ჭერა, გრძელი სახელოების გამო.

დედა: გაიმართე.

მამა: გამართულად დაჯექი.

ჰუფშმიდტი: კარგი.

შმიტი: კარგი?

მამა: გამართულად დაჯეეი.

ჰუფშიდტი: რა?

დედა: უნდა თქვა "რა" კი არა, "ბატონო".

მამა: რა უნდა თქვა?

ჰუფშიდტი: ბატონო?

შმიტი: რა "ბატონო"?

ჰუფშიდტი: რა... ბატონო?

კრუზე: სამწუხაროდ, ნამცხვარი გათავებულა.

ჰუფშიდტი: ბატონო? მადლობა. დიახ... კარგი. ახალ ნაშრომზე მინდოდა თქვენთან საუბარი.

შმიტი: მზად ვარ. დაგაგვიანდათ.

მამა: სად იყავი აქამდე?

ჰუფშიდტი: შევფერხდი. საქმიანი შეხვედრა მქონდა.

შმიტი: მართლა?

მამა: აჰა... ამბობ, რომ შეფერხდი.

ჰუფშიდტი: დიახ.

შმიტი: ბატონო?

მამა: რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ დროზე მოხვიდე?

დედა: ისე ვინერვიულე.

კრუზე: ფრთხილად, ყავა არ დაღვაროთ!

მამა: აბა, რას იტყვი?

შმიტი: რას იტყვით?

ჰუფშიდტი: რაზე?

შმიტი: გაეცანით დოკუმენტაციას?

მამა: შენ გელაპარაკები!!!

ჰუფშიდტი: მე... მე... ბატონო?

შმიტი: წაიკითხეთ ნაშრომი? რას იტყვით?

მამა: ახლავე გამეცი პასუხი! რა რეგენი ხარ!

ჰუფშიდტი: არ ვიცი.

შმიტი: როგორ აპირებდით ჩემთან ნაშრომის განხილვას, თუ არც კი წაგიკითხავთ?

დედა: წესიერად დაიკავე ფინჯანი, თორემ ისევ დაღვრი.

მამა: მიპასუხე!!

ჰუფშიდტი: შეეშინდება და ყავას პერანგზე გადაისხამს.

კრუზე: ოჰაა.

მამა: ბოთე, დებილები სკოლაშია შენი ადგილი!

დედა: აი... ხომ ვამბობდი. ახლახანს გავრეცხე ეს პერანგი. სხვები შენს გამო წელებზე ფეხს იდგამენ და შენთვის სულერთია.

კრუზე: მარილი მოსინჯეთ, შველის.

მამა: მართლა იდიოტი ხარ თუ თავს იკატუნებ?

კრუზე: (ცხვირსახოცს აწვდის) აი, გამომართვით.

ჰუფშიდტი: მადლობა.

მამა: შეკითხვა დაგისვი, და კეთილი ინებე მიპასუხე!

ჰუფშიდტი: მე, მე... იდიოტი ვარ.

შმიტი: ისედაც გეტყობათ.

დედა: მსოფლიოში იმდენი ბავშვია, საერთოდ რომ არ აქვთ ტანსაცმელი, შენ კიდევ როგორ ექცევი ნივთებს. არც კი ფიქრობ, არხეინად ცხოვრობ.

მამა: არ შეახოცო, დალაზვროს ეშმაკმა!

შმიტი: მე, რა თქმა უნდა მესმის, რომ ეს ლაქა პერანგზე, თქვენთვის საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ იქნებ მაინც დაგვეწყო განხილვა? ისედაც ბევრი საქმე მაქვს.

დედა: ფინჯანი დაგივარდება! აიყვანე თავი ხელში!

მამა: ფრთხილად!!!

ჰუფშიდტს შეეშინდება და ისევ გადაისხმს ყავას.

მამა: საკმარისია.

კრუზე: ასე არაფერი გამოგივათ.

მამა: მოდი აქ.

ჰუფშიდტი: სპეციალურად არ მიქნია!

მამა: მოდი მეთქი აქ!

შმიტი: სიმართლე გითხრაც, არც მიფიქრია, რომ სპეციალურად მოიქეციო ასე, მაგრამ თუ თქვენ ამით უკეთესად იგრძნობთ თავს, კარგი, ასე სპეციალურად არ მოქცეულხართ.

მამა: მოეთრიე!

ჰუფშიდტი მიდის შეფის კარისკენ.

კრუზე: ეძებთ რამეს?

ჰუფშიდტი: არა.

მამა: მოკლედ, იცი რა: თუ თვლი, რომ შეგიძლია ფეხები შეგვახოცო...

დედა: ნახე, შარვალიც... მეტი აღარ შემიძლია...

მამა: მე შენ გასწავლი, როგორ უნდა მშობლების პატივისცემა. რაკი ტკბილი სიტყვა შენთან არ ჭრის, სხვანაირად მოვიქცეთ: აწი ნიფხავით ივლი სკოლაში. გაიგე? გეკითხები: გაიგე?

ჰუფშიდტი: გავიგე.

მამა: რა გაიგე?

ჰუფშიდტი: რა?

მამა: გაიმეორე.

ჰუფშიდტი: რა... რა გავიმეორო?

მამა: დამცინი? რაც გითხარი.

ჰუფშიდტი: აწი ნიფხავით ვივლი სკოლაში.

შმიტი: მართლა ფიქრობთ, რომ ეს გვანტერესებს? დავიწყოთ განხილვა თუ თქვენს ნიფხავზე გირჩევნიათ გააგრძელოთ საუბარი?

კრუზე: მგონი ნამდვილად გამოუძინებელი ხართ დღეს.

ჰუფშიდტი: არა მგონია, რომ ეს თქვენ... რა...

შმიტი: აი, აიღეთ: მე-12 გვერდზეა რეზუმე, საქმის არსის მოკლე აღწერა.

დედა: ახლავე დაჯექი წესიერად.

მამა: ერთ ყურში შედის და მეორედან გამოდის. გეუბნებიან, წესიერად დაჯექი!

ჰუფშიდტი ცდილობს გამართულად დაჯდეს.

შმიტი: იპოვნეთ? გვერდი 12.

მამა: ორივე ხელით დაიკავე რვეული. დებილივით ნუ იქცევი.

კრუზე: ყავას ხომ არ ინებებთ კიდევ?

გრძელი სახელოები ხელს უშლის ჰუფშიდტს საქალაღის ჭერაში.

დედა: რას გავხარ, ისევ მოიხარე.

ჰუფშიდტი: (კრუზეს) გმადლობთ. (ცდილობს გამართულად დაჯდეს.)

შმიტი: ე.ი. გვერდი 12.

დედა: ხანდახან უმარტივეს ამოცანასაც ვერ ხსნის, კონცენტრირება უჭირს.

ჰუფშიდტი: გვერდი 12?

დედა: გახსოვს როგორ იწერება 12? გუშინ ხომ ვიმეცადინეთ.

მამა: 12! 12! როგორ იწერება 12? არ არის სწორი!

ჰუფშიდტი: გვერდი 12?

მამა: შენ რა, საერთოდ ვერ აზროვნებ?

შმიტი: ზუსტად.

დედა: საერთოდ არ ცდილობ.

მამა: არ შეგიძლია თუ არ გინდა?

შმიტი: თუ არ გინდათ, შემიძლია ჩემით დავამუშავო.

ჰუფშიდტი: არა, მე... დიახ. გვერდი 12. აი, ერთიანი და ორიანი.

შმიტი: თქვენ რა, მაშაყირებთ?

მამა: გვაშაყირებს. მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა მშობლების აგდება.

ჰუფშიდტი: მე, მე, ერთი წუთით, კალამს ავიღებ.

მამა: აქ იჯდები, სანამ არ იპოვნი 12-ს.

კრუზე: აი. (აწვდის კალამს.)

ჰუფშიდტი: ერთიანს კაუჭი აქვს.

დედა: სხვა ბავშვები ბედნიერები იქნებოდნენ, სწავლა რომ შეეძლოთ. სამსახური მივატოვე, რომ მთელი დღე შენთან ვყოფილიყავი. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ თუ ასე გააგრძელებ, ვეღარ გავუძლებ და მანქანას შევუვარდები.

ჰუფშიდტი: გვერდი 12, მგონი აქ არ მაქვს.

მამა: ტვინი არ გაქვს.

შმიტი: სულ შეიშალებთ?

კრუზე გადაუშლის მე-12 გვერდზე.

ჰუფშიდტი: უი.

შმიტი: აბა, გაქვთ რამე წინადადება?

დედა: უპასუხე, როცა გეკითხებიან. ხანდახან გული მწყდება, რომ მშობიარობას არ გადავყვი.

ჰუფშიდტი: მე, ზოგადად, ვფიქრობ, რომ... პირადად მე ეს არაფერს მეუბნება.

შმიტი: თუ სულ ეს არის, მოდი აღარ ვიწვალთ.

მამა: შეეშვი, მაინც ვერაფერს გაიგებ.

შმიტი: არ მოგცემთ მასხრად აგდების უფლებას. ისეთი შრომა გავწიე...

დედა: მთელი დღე წლებზე ფეხს ვიდგამ...

შმიტი: რამის თქმაც არ გინდათ?

მამა: რა უნდა თქვას?! მხოლოდ ჩახეთქვა შეუძლია.

კრუზე: ყველაფერი ნათელია: გული გაწუხებთ?

დედა: ჯერ კიდევ გუშინ მომეცი პირობა, რომ გამოსწორდებოდი. იმედებს მიცრუებ.

კრუზე: ასე ინფარქტიც შეიძლება აიკიდოთ...

შმიტი: თქვენი ქედმაღლობა ერთ ადგილზე გაიკეთეთ.

კრუზე: მოულოდნელად გეწყებათ ფეხების გაციება....

მამა: 30 წლის ასაკში ქუჩაში მოუწევს ცხოვრება, ხიდის ქვეშ.

კრუზე: ოფლი გასხამთ, გული გიჩქარდებათ...

დედა: გეფიცები, როდესმე თავს ვერ შევიკავებ და მანქანას შევუვარდები.

მამა: აი ნახავ, რთულად აღსაზრდელთა კოლონიაში რომ ამოყოფ თავს.

კრუზე: პულსი ორი დარტყმის მაგივრად სამს აკეთებს...

შმიტი: საიდუმლო გეტყვით, რომ აქ ბევრს არ ეხატებით გულზე.

კრუზე: სისტოლასა და დიასტოლას შორის კიდევ ერთი დარტმა ამოხტება...

დედა: ოდნავ მაინც დაფიქრდი.

კრუზე: თითქოს ღამით დაბურულ ხეივანში მიდიხართ და უკან ვიღაც უცხო აგედევნათ...

მამა: წაეთრიე საკუჭნაოში!

შმიტი: ასეთ პირობებში თქვენთან ვერ ვითანამშრომლებ.

დედა: (ტირის) გრცხვენოდეს!

კრუზე: გული ცხენივით მიეჭენება, სრულიად გამოდის წყობიდან.

შმიტი: საერთოდ ვერ აზროვნებთ...

მამა: საერთოდ რას გაჩნდი ამ ქვეყანაზე?!

შმიტი: სამაგიეროდ ყველას ნერვებს უშლით თქვენი ქედმაღლობით.

კრუზე: გრძნობთ, რომ თქვენი გულ-მკერდი ივსება, თითქოს ვინმე ბუმტს ბერავდეს შიგნით. ფილტვები გეფუყებათ და გეჭმუხნებათ, გული კი უფრო და უფრო ჩქარა გიცემთ...

დედა: როდესმე მანქანას შევუვარდები.

მამა: როგორ იწერება 12?

კრუზე: ცდილობს სიკვდილისგან დააღწიოს თავი გაქცევით.

შმიტი: კარგი, ე.ი. მე ვიღებ პროექტს ჩემს თავზე.

მამა: შენი ადგილი განუვითარებლების სკოლაშია!

კრუზე: სისტოლა, დიასტოლა, სიკვდილი; სისტოლა, დიასტოლა, სიკვდილი; სისტოლა...

მამა: როგორ იწერება 12?

დედა: მეტი აღარ შემიძლია! მანქანას შევუვარდები!

მამა: გონება მოიკრიბე!

კრუზე: უცებ გეწყებათ მწველი ტკივილი...

მამა: 12 მეთქი!

კრუზე: ... თითქოს აფეთქების ტალღა გაგდებთ საკუთარი თავიდან...

დედა: შეეცადე, გთხოვ. იმდენს ვაკეთებთ შენთვის.

კრუზე: სისტოლა, დიასტოლა, სიკვდილი; სისტოლა, დიასტოლა, სიკვდილი; სიკვდილი... სიკვდილი... სიკვდილი...

მამა: ბავშვთა სახლს მიგაბარებთ, აი ნახავ! მთლად უტვინო ხარ! ცუდად დაამთავრებ! 30 წლის ასაკში ქუჩაში იცხოვრებ, ხიდის ქვეშ! მეუბოვებ კი ვერ გამოხვალ, ამასაც ვერ შეძლებ! საერთოდ რას გაჩნდი ამ ქვეყანაზე!

კრუზე: სიკვდილი. სიკვდილი. სიკვდილი. სიკვდილი.

კარადის კარები იხურება. ჰუფშმიდტი გარბის. შმიტი და კრუზე თვალს აყოლებენ.

კრუზე: ალბათ საერთოდ არ უძინია.

შემოდინ კრეცკი და კრისტენსენი.

კრუზე: დილა მშვიდობისა!

კრისტენსენი: დილა მშვიდობისა!

კრეცკი: დილა მშვიდობისა!

ხმოვანი სიგნალი, სანათი ინთება. ხმოვანი სიგნალი ავისმომასწავებლად ხანგრძლივდება. ეტყობა შეფი ამ ჯერად ძალიან გაბრაზებულია. ყველას ეჩყება პანიკა. შემოდის ჰუფშმიდტი და უერთება დანარჩენებს; ყველანი იმალებიან. სიჩუმე ისადგურებს. კრისტენსენი ცხვირში ღიღინებს "High Noon"-ის მელოდიას. თანამშრომლები კოვბოების ნაბიჯებით გამოდიან სამალავებიდან. "არაჩვეულებრივი ხუთეული" მწყობრში დგება შეფის კართან:

ჰუფშმიდტი – მეთაური – ხელს გაიწვდის.

კრეცკი აწვდის სალეჭ რეზინს.

ჰუფშმიდტი გადასცემს სალეჭ რეზინს შმიტს.

შმიტი სპეციალურად ნელა ხსნის მას.

შმიტი გადასცემს სალეჭ რეზინს კრუზეს.

კრუზე გალეჭავს მას და გადასცემს ჰუფშმიდტს.

ჰუფშმიდტი ართმევს სალეჭ რეზინს და აწებებს შეფის კარზე.

ის ამას აკეთებს **კლინთ ისთვუდის** დაუდევრობით და უფრო თავხედურადაც.

დანარჩენები თანხმობის ნიშნად ეყურებენ ერთმანეთს. მათი მეთაური – საკმაოდ გაბედულია.

ხმოვანი სიგნალი, სანათი ინთება. პანიკა.
თანამშრომლები ცდილობენ მოაშორონ სალექი რეზინი კარიდან.
პაუზა.
უაზრო ბავშვური ცელქობის შეგრძნება. პაუზა.

12. ასე არ შეიძლება

ჰაერში შეთქმულების სუნი ტრიალებს.

კრუზე: ასე არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს.

კრეცკი: ასე არ შეიძლება.

კრუზე: ასე ნამდვილად არ შეიძლება.

კრისტენსენი: ასეც ხომ არ შეიძლება.

ჰუფშიდტი: მოგვიწევს, ალბათ...

შმიტი: თუ არა, მაშინ...

კრეცკი: სწორედაც.

კრუზე: ასე არ შეიძლება.

პაუზა

ჰუფშიდტი: მაშინ...

კრეცკი: ზუსტად...

კრუზე: ასე არ შეიძლება.

კრეცკი: ჩვენთან ეს არ გაუვა.

კრისტენსენი: ყოველშემთხვევაში არა ამ დონეზე.

ჰუფშიდტი: ამჯერად მართლა საკმარისია.

კრუზე: ასე არ შეიძლება.

შმიტი: კმარა.

ყველანი ერთად მიემართებიან შეფის კარისკენ.

კრუზე: (აკაკუნებს და შედის სულიად დარწმუნებული, რომ ყველა მას მიყვება). ასე არ შეიძლება.

კრისტენსენი: (მიყვება მას, მაგრამ არც ისე დარწმუნებული) ყოველშემთხვევაში არა ამ დონეზე.

დანარჩენებს ბოლო წამს მბედაობა ღალატობთ, და ისინი კართან შეჩერდებიან. სიჩუმე. შმიტს რაღაც უვარდება. ყველას შეეშინდება. სიჩუმე. კრეცკი იხედება მარჯვნივ; ყველას შეეშინდება.

შმიტი: (პანიკაში) რა ხდება?

კრეცკი: სანათი...

სიჩუმე. ჰუფშიდტი შეკრთება და შეფის კარისკენ ტრიალდება. ყველას შეეშინდება.

ჰუფშიდტი: ვიხუმრე!

სიჩუმე

შმიტი: უბრალოდ ცდილობენ დაგვაშინონ.

კრეცკი: ნამდვილად, ცდილობენ...

კრუზე გამოდის შეფის ოთახიდან, იღლიაში საკუთარი თავი უჭირავს. ხელის ცეცებით მიდის ბუფეტისაკენ, ცდილობს ყავა დაისხას. იმ დროს, როცა ის ოთახში გადაადგილდება და ცდილობს, თავი მიიბას, შეფის ოთახიდან გამოდის კრისტენსენი, რომელსაც თავში მოზრდილი ნაჯახი აქვს ჩარჭობილი.

კრისტენსენი: დიახ, ეს იყო ნაყოფიერი საუბარი. Yes! ტყუილად არ წამიკითხავს ეს წიგნი გუშინ. არ მივეცი დაშინების უფლება, მშვენივრად ვფლობდი საკუთარ თავს, ცუდი, უბრალოდ, ვერც ვერაფერი მოხდებოდა. ცოტა თავი წამომტკივდა, მაგრამ დამაბულობის ბრაღია... (თავზე ხელს ისვამს და ნაჯახი შერჩერება) ამ სისულელეზე არც მინდა ვიფიქრო! ნაყოფიერი საუბარი შედგა, მშვენივრად მეჭირა თავი.

ილაპარაკონ, რაც უნდათ. თავს აღარასოდეს არავის არ დავაშინებინებ, მე... მე... (იძრობს თავიდან ნაჯახს) მე... არა, ეს უკვე მეტისმეტია.
ხმოვანი სიგნალი, შეფი ყველას იძახებს.

13. მეგობრები

კრეკი და კრუზე.

კრეკი: საკმარისია, მორჩა!

კრუზე: ასე არ შეიძლება.

კრეკი: ჩემთან ეგ ნომერი არ გაუვა.

კრუზე: ასე არ შეიძლება.

კრეკი: ახლა მართლა ყველაფერი მორჩა.

კრუზე: ჩათვალე უკვე აღარ ვარ აქ.

პაუზა

კრეკი: სალაპარაკოც არაფერია.

კრუზე: რა აზრი აქვს ლაპარაკს.

კრეკი: დროა გადაწყვეტილება მივიღოთ.

კრუზე: მივიღებთ კიდეც.

კრეკი: მივდივართ.

კრუზე: ჩათვალე, უკვე წასულები ვართ..

კრეკი: შორს აქედან.

პაუზა

კრეკი: აღარ ვაპირებ სულელის თამაშს.

კრუზე: რატომ ვითომ.

კრეკი: რატომ, რატომ, ფულის გამო, ალბათ.

კრუზე: ასეა. ფული... ხელფასი აქ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია.

კრეკი: თან ცენტრში ვმუშაობთ.

კრუზე: ჰო ესეც.

კრეკი: თან...

კრუზე: მშვენიერი სასაბუღალტრო გვაქვს.

კრეკი: ისე რა.

კრუზე: უარესს ბევრად ჯობია.

კრეკი: უარესს ჯობია.

კრუზე: რაც მართალი მართალია.

პაუზა

კრეკი: თუმცა აწი რა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი გადაწყვეტილია.

კრუზე: ასე არ შეიძლება.

კრეკი: მივდივართ.

კრუზე: ჩათვალე, უკვე წასულები ვართ.

კრეკი: შორს აქედან.

პაუზა

კრეკი: კარგი...

ორივენი დგებიან.

კრეკი: აუ, სიგარეტი დამრჩა.

კრუზე: ახალი იყიდეთ.

კრეცკი: არავითარ შემთხვევაში. აქ არაფერსაც არ დავტოვებ, სიგარეტსაც კი. შევალ და ავიღებ. ბოდიში, სიგარეტი დამრჩა. თუმცა არა!

კრუზე: რატომ?

კრეცკი: ყოველგვარი "ბოდიშების" გარეშე.

კრუზე: მართალია!

კრეცკი: სიგარეტი მაგიდაზე! *(თითქოს რეპეტიციას გადის)* სერ, დამიბრუნეთ... ჩემი სიგარეტი.

კრუზე: ბრწყინვალეა... შედით, და აქ დაგელოდებით.

კრეცკი შედის შეფის ოთახში. კრუზე ელოდება. კრეცკი ბრუნდება.

კრუზე: აბა, როგორაა საქმე?

კრეცკი: ნორმალურად, შეგვიძლია წავიდეთ.

კრუზე: რა უთხარით?

კრეცკი: პირადაპირ მივახალე, რომ მინდა... ერთი სიტყვით, ვკითხე, შემიძლია თუ არა სიგარეტი ავიღო მეთქი?

კრუზე: მერე?

კრეცკი: რა თქმა უნდა, აიღეთ.

კრუზე: ბრწყინვალეა.

კრეცკი: მორჩა მივდივართ.

კრუზე: ჩათვალე, უკვე წასულები ვართ.

კრეცკი: შორს აქედან.

პაუზა

კრუზე: მეტი არაფერი უთხარით?

კრეცკი: რა უნდა მეთქვა?

კრუზე: მაგალითად, რომ მივდივართ.

კრეცკი: არა, არ მითქვამს.

კრუზე: სწორია, რატომ უნდა გეთქვათ.

კრეცკი: როგორ გითხრათ, თავაზიანობის გამო.

კრუზე: სწორია, ასე უფრო თავაზიანი იქნებოდა.

კრეცკი: აწი რა მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი გადაწყვეტილია.

კრუზე: გადაწყვეტილია და ბეჭედდასმული. ჩვენი არყოფნა შეუმჩნეველი არ დარჩება...

კრეცკი: როცა აქ აღარ ვიქნებით.

პაუზა

კრეცკი: მოდით, მაინც ჩავაყენოთ საქმის კურსში.

კრუზე: ასე ჯობია. შევიდეთ და ვუთხრათ, რომ ასე აღარ შეიძლება.

კრეცკი: რომ ჩვენ მივდივართ.

კრუზე: საყვავილედ დავათხლიშოთ იატაკზე.

კრეცკი: არა, ეს მეტისმეტია.

კრუზე: ჰო, მგონი მასეა.

ორივე შედის შეფის ოთახში. ბრუნდებიან.

კრუზე: ნუ, რაკი ასეთი დაკავებულა.

კრეცკი: არ ვაპირებ დიდ ხანს ლოდინს. აქ აღარაფერი მაკავებს. ისედაც შეგვიძლია წასვლა.

კრუზე: ნებისმიერ დროს.

კრეცკი: თუნდაც ახლავე.

კრუზე: ერთი გაბედოს ვინმემ და ხელი შეგვიშალოს.

პაუზა

კრეცკი: ერთი გაბედოს.

კრუზე: აჰა.

კრეცი: აბა შეეცადოს...

კრუზე: აჰა.

კრეცი: რომც მოინდომონ... რომც მოინდომონ... რამის ახსნა – დალაპარაკება. რომ... რომ... რომ...

კრუზე: იქნებ რაღაც სწორად ვერ აღვიქვით...

კრეცი: ან ვერ გავიგეთ...

კრუზე: ვინ არ შემცდარა...

კრეცი: თუ შევახსენებთ ჩვენებს დამსახურებას იქნებ ყველაფერი დაგვიფასონ...

კრუზე: ან იქნებ ოდნავ ყურადღება მოგვაქციონ...

კრეცი: სულ მცირე ყურადღება მაინც, მაშინ...

კრუზე: მართალია.

კრეცი: მაშინ...

კრუზე/კრეცი: მაინც წვიდოდით.

პაუზა.

კრეცი: მოდით, შევიდეთ მასთან.

კრუზე: პირველი თქვენ შეხვალთ?

კრეცი: ჩემთვის სულერთია.

კრუზე: ჩემთვისაც.

შედიან შეფის ოთახში. გამოდიან.

კრუზე: ყველაფერი წესრიგშია, მივდივართ. ყველაფერი ნათლად ამოვთქვი.

კრეცი: რა?

კრუზე: გიკვირთ?

კრეცი: მიკვირს. ხომ აპირებდით გეთქვათ, რომ "ასე აღარ შეიძლება"?

კრუზე: მერე რა?

კრეცი: ის, რომ არ გითქვამთ. უთხარით: "კმაყოფილი ვარ, აქ რომ ვმუშაობო".

პაუზა.

კრუზე: ვიგულისმე, რომ "ასე აღარ შეიძლება". ხომ გესმით? ქვეტექსტი იყო, საუკეთესო იარაღი. ყველაფერი ნათელად ვთქვი, ნუ ღელავთ, უნდა შეგძლოთ ამოიკითხოთ ქვეტექსტი. ის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია. ხომ გესმოდათ როგორ ვთქვი?

კრეცი: ერთობ მეგობრულად.

კრუზე: რა თქმა უნდა. წასვლის წინ რატომ მოვქცეულიყავი არათავაზიანად? ეს სრულებითაც არ ცვლის ჩვენს განზრახვას.

კრეცი: კარგი, წავიდეთ.

კრუზე: ჩათვალე, უკვე წასულები ვართ.

კრეცი: შორს აქედან.

პაუზა.

კრეცი: აი, მაგალითად, ეს ფინჯანი. მასთან უთვალავი სინათლის წელი მაშორებს.

კრუზე: ლამაზი ფინჯანია.

კრეცი: რამდენჯერ დამიღევია ყავა ამ ფინჯნიდან.

კრუზე: ყველაფერი წარსულშია.

პაუზა.

კრუზე: არ მეგონა რომ უფრო მალე წავიდოდი აქედან, ვიდრე ეს შაქარი დამთვარდებოდა.

კრეცი: ბედისწერა.

კრუზე: ვადაცას ალბათ, გული აუჩუყდებოდა...

კრეცი: რამდენი რამ გვქონდა ერთად.

კრუზე: ჰო, შაქარი სულ გვქონდა.

კრეცი: რა?

კრუზე: ვგულისხმობ, რომ ეს დავდაჯერებულობას გვმატებდა.

კრეცი: ავიღებ რამდენიმეს.

კრუზე: სამახსოვროდ.

კრეცი: ნებართვასაც არ ვითხოვ. ავიღებ, და მორჩა.

კრუზე: დანარჩენი ვჭამოთ.

კრეცი: მართალია. რატომ უნდა დარჩეს ეს შაქარი ჩვენზე დიდხანს აქ?

ჰამენ შაქარს და ტირიან.

კრეცი: მორჩა, წავედით.

კრუზე: ჩათვალე, უკვე წასულები ვართ. შორს აქედან.

კრეცი: ჩვეულებრივად ბოლო სიტყვებს მე ვამბობ ხოლმე.

კრუზე: ახლა არაჩვეულებრივადაა.

პაუზა.

კრეცი: იქნებ მაინც გვეთქვა შაქარზე?

კრუზე: ასე აჯობებს.

კრეცი: კარგი. მე ვეტყვი.

კრუზე: ოღონდ ზედმეტი ცერემონიის გარეშე!

კრეცი: ნუ ღელავთ არ დავიწყებ თხოვნას, პირდაპირ ფაქტის წინაშე დავაყენებ, რომ შაქარი მიმაქვს, მთავარია არავინ გაიკვიროს...

კრუზე: მიდით. დაგელოდებით.

კრეცი: ნახვამდის.

კრუზე: ეს როგორ?

კრეცი: ჩვეულებრივად – ნახვამდის, მალე მოვალ.

კრუზე: ააა, ნახვამდის.

კრეცი შედის შეფის ოთახში. კრუზე გარეთ ელოდება. კრეცი ბრუნდება.

კრეცი: ყველაფერი წესრიგშია, შეგვიძლია წავიდეთ.

კრუზე: შაქარი მიგვაქვს?

კრეცი: მიგვაქვს. ნება დაგვრთეს კიდევ წავილოთ.

კრუზე: აჰამ... ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ უკვე გვიანაა აზრი შეგვაცვლივონ. ეს რომ ადრე მომხდარიყო, კიდევ ჰო, მაგრამ...

კრეცი: გვიანაა: აწი ვერაფერს შეცვლიან. გარდა ამისა, შაქრის ერთი ნატეხი არც ისე გულუხვი ჟესტია, სიამოვნებით შევიდოდი კიდევ ერთხელ და...

კრუზე: დიახ!

კრეცი: ვეტყოდი...

კრუზე: ვერ მოგვშაქრავენ...

კრეცი: რომ ეს თევხედობაა.

კრუზე: ასე არ შეიძლება!

კრეცი: ჩვენთან ეს ნომერი გაუვათ!

კრუზე: ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ.

კრეცი: აღარ ვაპირებ სულელის თამაშს.

პაუზა.

კრეცი: შეხვალთ პირველი?

კრუზე: არა, თქვენ შედით.

კრეცი: ნახვამდის.

კრუზე: მეც შემოვალ.

კრეცი: უკაცრავად.

შედიან შეფის ოთახში. ბრუნდებიან.

კრეცკი: ახლა კი ყველაფერი გასაგებია, ერთხელ და სამუდამოდ.

კრუზე: მეც ასე ვფიქრობ.

კრეცკი: მაშ ასე! ყველაფერი წესრიგშია, მივდივართ.

კრუზე: წინააღმდეგი ხომ არ ხართ, აქვე ვთვა "შორს აქედან"?

კრეცკი: როგორც გენებოთ.

კრუზე: შორს აქედან.

პაუზა.

კრუზე: შეიძლება რაღაც გკითხოთ?

კრეცკი: მკითხეთ.

კრუზე: თქვენ იქ რაღაც თქვით და... მინდოდა მეკითხა... თქვენ მოწვევას დათანხმდით ხვალინდელ სადილზე.

კრეცკი: მერე რა?

კრუზე: მეგონა მივდიოდით.

კრეცკი: მერე ეს პირადი მოწვევაა.

კრუზე: აი, თურმე რაშია საქმე, მე კი მეგონა...

კრეცკი: არა, არა, პირადი მოწვევა.

კრუზე: ე.ი. პირადი.

კრეცკი: იცით, აუცილებელია პირადი და საქმიანი ცხოვრების გამიჯვნა. ოფიციალურად აქ უკვე აღარ ვმუშაობ.

კრუზე: მე კი არ მომიწვიეს.

კრეცკი: არ გაგიმართლათ.

კრუზე: თქვენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, სოლიდარობის გამო... მოკლედ, უარს ვიტყვოდი.

კრეცკი: ჰმ.

კრუზე: უბრალოდ ვამბობ, როგორ მოვიქცეოდი.

კრეცკი: დიახ, დიახ.

კრუზე: ეს არ ნიშნავს, რომ მეც მინდა... მე ხომ ისედაც აღარ ვმუშაობ უკვე აქ...

კრეცკი: მართალი ხართ: თქვენ უკვე აღარ მუშაობთ აქ, არც მე ვმუშაობ, ორივე მივდივართ.

კრუზე: შორს აქედან.

კრეცკი: შევალ და ვეტყვი...

კრუზე: ასე არაფერი გამოვა.

კრეცკი: ან ორივე, ან პირადაც არ მივიღებ.

კრუზე: თქვენ ამას იზამთ?

კრეცკი: ვიზამ.

კრუზე გულაჩუყებულია.

კრეცკი: შევალ და აქ დამელოდეთ.

კრუზე: დაგელოდებით.

კრეცკი: ნახვამდის.

კრუზე: რა?

კრეცკი: ნახვამდის, ახლავე დავბრუნდები.

კრეცკი შედის შეფის ოთახში. კრუზე ელოდება გარეთ. კრეცკი ბრუნდება საქალაქო.

კრეცკი: მორჩა, შეგვიძლია წავიდეთ.

კრუზე: რა უთხარით?

კრეცკი: ვუთხარი, რომ მეც ძალიან მომწონს ირლანდია. ძირითადად ირლანდიაზე ვისაუბრეთ. მე რა თქმა უნდა მაინც მივდივარ, მაგრამ როცა საერთო ინტერესებია... მოკლედ, ბევრი ვისაუბრეთ ირლანდიაზე, ძალიან დავახლოვდით.

კრუზე: და მოწვევაზე? თქვენ ხომ სოლიდარობის გამო...

კრეცი: ამაზე როგორც არ მოხერხდა საუბარი, სულ სხვა თემებზე ვსაუბრობდით.

კრუხე: აი, თურმე რა... (მიუთითებსსაქალაქებზე) ეს რა არის?

კრეცი: მმმ, ეს გადასახედად მომცეს. ამაში ხომ ჩემზე კარგად ვერავინ ერკვევა. საერთოდ აქ აღარ ვმუშაობ, მაგრამ ამას ჩემი ნებით ვაკეთებ. ბოლოსდაბოლოს ერთი საქალაქე არაფერს ცვლის.

კრუხე: ერთი საქალაქე... რა ვიცი, რა ვიცი...

კრეცი: (იხედება საქალაქეში) უყურე შენ... საინტერესოა... (ისევ მიემართება შეფის ოთახისკენ) არ იღელვოთ მოწვევაზე, სიტყვას შეგაწევთ.

კრუხე: იქნებ მეც...

კრეცი: ნახვამდის. (შედის.)

კრუხე: ნახვამდის.

კრუხე აკაკუნებს შეფის კარებზე.

კრუხე: გელოდებით (იხედება საათზე) გელოდებით!

კრეცის ნაცვლად შეფის ოთახიდან გამოდის ჰუფშიდტი.

კრუხე: (ფიქრობს რომ კრეცია) ჩემი აზრით, ეს არ არის ლამაზი... (მიდის.)

14. კათარზისი

ჰუფშიდტი: ცოტაც და, მოხდება ეს. ცოტაც და, ბედნიერი ვიქნები. Katharsis tremens (*სულიერი განწმენდა ტანჯვის შედეგად*). ბედნიერება, ელვისებური გამონათება. წამიც და, ყოველგვარი შემხადების გარეშე ბედნიერად გადავიქცევი. თითქოს უხილავი დამაგრძელებლით ვარ შეერთებული ენერჯის წყაროსთან. ამ წუთიდან თავად ვარ სიყვარული, სინათლე, ბედნიერება და სრულიად უკონტროლო ვარ.

კონფერენცია ლონდონში. თათბირი ექვსივე შვილობილი კომპანიის მენეჯერებთან. ჩაის ვურევდი და უცებ გარდმოვლინდა და ჩამელვარა ის – ბედნიერება. მაშინ ეს პირველად მოხდა, და მიუხედავად ამ აულწერელი ბედნიერებისა რომელიც ჩემში ვრცელდებოდა კონცენტრული წრეების სახით, რაღაც უცნაური შეგრძნება დამეფულემა, განსაკუთრებით როცა აღმოვაჩინე ფინჯანის ძირი ხდებოდა გამჭვირვალე და მე ვხედავდი მასში უფრო მეტს და უფრო შორს, ზღვას და შრი-ლანკის პლანტაციებს, სადაც იზრდება ეს ჩაი. ვხედავდი ამოიწვერნენ ჩაის ბუჩქის ყლორტები მიწიდან ყვირილით: "ააა, ააა!". ყველგან ჩაის ტოტებია, მზისკენ აზიდული. ააა, ააა! ისინი, რომელთაც უკვე ამოყვეს თავები ამხნებენ დანარჩენებს. A ha henga vandala min yen - ყოჩაღ, მიდი, გელოდებით. დავნავარდობი ჩაის პლანტაციებში, მშობლიური ენასავით ვფლობდი ტამილურ ენას. და იმ დროს, როდესაც ბრიტანელი კონსალტინგ-მენეჯერი გასული წლის ანგარიშვალდებულებებზე მეკითხებოდა მე გატაცებით ვესაუბრებოდი ჩაის ბუჩქებს. ისინი ძალიან კომუნიკაბელურები არიან: ესაუბრებიან ერთმანეთს, საუბარს არ აცდიან, მღერაინ – უკიდურესად ცოცხლად იქცევიან. არცაა გასაკვირი, თეინის ამხელა შემადგენლობით. შემოდგომამდე ვიყავი იქ, ვიდრე მიწა არ იძრა. ადამიანები მოვიდნენ ჩაის მოსაკრეფად. აუტანელი ყვირილის ხმა იყო. ჩაის ბუჩქები წარმოუდგენლად მგრძნობიარენი არიან. ზოგჯერ მეჩვენებოდა რომ აჭარბებდნენ კიდევ: მათ ხომ მხოლოდ ბოლოებს აცლიდნენ. მაგრამ რაღაც მომენტში მეც ვიგრძენი მათი მდგომარეობა, და ძალიან მეტკინა. ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ჩაის ფოთლები, მზეზე გასაშრობად რომ აწყობდნენ. დაახლოებით 24 საათის შემდეგ მოკვდნენ, დააფასოეს და გემით ევროპაში გააგზავნეს. მეც ავიპარე გემზე მათთან ერთად და ჩემს ჩაის ფინჯანთან აღმოვჩნდი. და ზუსტად ამ დროს – ბრიტანელი კონსალტინგ-მენეჯერი მიმეორებდა თავის შეკითხვას, – ფინჯანიდან მშვიდი სიმღერა შემომესმა, უსასრულოდ სათუთი, ძალიან წყნარი და იმდენად მშვენიერი, რომ ავტირდი, როგორც არასდროს ცხოვრებაში. რა გჭირსო, მკითხა დირექტორთა საბჭოს შვეიცარელმა თავმჯდომარემ. სიჩუმე ჩამოწვა. სლუკუნით ვუხსნიდი იქ შეკრებილთ, რომ ჩემი ჩაის ფინჯანიდან მარადიული სიყვარულის სიმღერა ისმოდა. გარდა ამისა, ვუხსნიდი რომ ჩაი გვპატიობს,

რომ ყველა ცოცხალი ხელმეორედ იბადება და რომ ჩვენ უკვდავები ვართ, და ბოლოს იაპონური შვილობილი კომპანიის წარმომადგენელს, ბატონ ვან ხუნგს ჩავეხუტე.

დიახ.

მას შემდეგ, როგორც კი ვგრძნობ კათარზისის მოახლოებას, ვცდილობ გავქრე სამსახურიდან. მდივანს ვეუბნები, რომ გაციებული ვარ. ვცდილობ მოვასწრო, ვიდრე პირველი ანგელოზი გამომეცხადება. მეტროში ჯერ კიდევ ვახერხებ თავი ხელში ავიყვანო, მაგრამ ვეღარ ვერები ამ ბედნიერების განცდას. ვზივარ გაჭედულ მატარებელში და ვმღერი მთელ ხმაზე. სრულებით არ მანაღვლებს, რომ ყველა მე მიმუყურებს, როგორც გადარეულს. მომდევნო დღეს, რა თქმა უნდა, გამიჭირდება ავხსნა, როგორ შეიძლება ამ დონეზე დაკარგო ადამიანი საკუთარი თავის კონტროლი, მაგრამ გასხვივოსნების იმ ბედნიერ წამს ვერაფერს ვუხერხებ თავს, და მერამდენედ, ვიწყებ განტვირთვას ვივალდის "გლორიათი".

საუკეთესო ვარიანტია თუ სახლში მისვლას ვასწრებ. ფარდებს გადავწევ და მადლიერებით სავსე, ცრემლებით ვტირი სიცოცხლის განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე. ან რომელიმე ჭიანჭველასთან განვიხილავ სიცოცხლეს გარდაცვალების შემდეგ, და აღფრთოვანებული ვარ რამდენად სრულყოფილია ეს ციციქნა არსება, პატარა დეტალების ჩათვლითაც კი.

თუმცა, როგორც წესი, ვერ ვასწრებ სახლში მისვლას. მეტროს ესკალატორზე იმდენად ვივსები ბედნიერებით, რომ მოწყვეტით ვეცემი მიწაზე ხელეგამლილი. დავხეტები ქუჩებში, სამყაროსთან შერწყმის სურვილით სავსე და სრულიად კაცობრიობაზე არანორმალურად შეყვარებული. თუ ანგელოზი მიახლოვდება, ნათელმხილველი ვხდები. ნამტირალევ ქალს ვეუბნები, რომ კაცი, რომლის ზარსაც ის ელოდება, არ დაურეკავს, იმიტომ, რომ ნაირობიში გაქურდეს და ტელეფონების წიგნიც წართვეს, მაგრამ მას უყვარს და გამოჩნდება, როგორც კი გერმანიაში დაბრუნდება. ქალი არც კი მეკითხება საიდან ვიცი ეს. მხოლოდ თავს წევს მალა, თვალეში მიყურებს და ჩუმად ჩურჩულებს: "გმადლობ".

ლამით ქანცგაწყვეტილი ვბრუნდები სახლში. ვჯდები საწოლზე და ველოდები, ვიდრე ბედნიერების გრძნობა მიმატოვებს. არ ვწვები, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. ამისათვის მეზობელ ქალს ვიყენებ, რომელიც სულ ჩართული აქვს ტელევიზორი და ბოლო ხმაზე აყვირებს. თუ მე მეჩვენება, რომ იგი საშინლად მარტოსულია, რაკი მთელი დღეები ტელევიზორს უყურებს, ე.ი. ჯერ კიდევ ადრეა დაწოლა. თუ ვიწყებ დამუქრებას, რომ პოლიციას გამოვიძახებ, ე.ი. ყველაფერი წესრიგშია და დაძინებაც შეიძლება. მეორე დილით მდივანი მეკითხება უკეთესად ვგრძნობ თუ არა თავს, ვპასუხობ, რომ კი, თვალს ვავლებ ანგარიშგებას, და დროდადრო სწრაფად ვტრიალდები უკან, ვამოწმებ, ანგელოზი ხომ არ მაზის მხარზე. მაგრამ არავითარი ანგელოზი არ არის და მადლობა ღმერთს, ყველაფერი ისევ წესრიგშია.

ჰუმშიდტი შედის შეფის ოთახში

15. დამტვრეული

შმიტი გამოდის შეფის ოთახიდან.

შმიტი: მე გატეხილი ვარ და არ მინდა რომ შემაკეთონ, აღარ მინდა ფუნქციონირება. მინდა ვიყო ის, ვინც ვარ – ნამსხვრევების გროვა. მინდა გამოუსადეგარი ვიყო, მინდა უფლება მქონდეს ვიყო ის, ვინც ვარ – მინდა ვიყო გატეხილი. არ მჭირდება ვინმე მზრუნველად აწებებდეს ჩემი ნამსხვრევების გროვას, არ მჭირდება შეკეთება. აღარ მინდა ფუნქციონირება. მინდა, რომ ვინმემ ჩემი ნამსხვრევები ერთად შეაგროვოს და სანაგვეზე გადაყაროს. მინდა, რომ ათას ნამსხვრევად მიმოვიფანტო ნავაგსაყრელზე, გავქრე და ეს არავის ანაღვლებდეს; რომ არავინ წუხდეს ჩემზე და არავინ მსაყვედურობდეს, რომ არ ვნებდები, შემაკეთონ. აღარ მინდა ფუნქციონირება. ჭუჭყი არ შეიძლება დაისვაროს. მკვდარი არ

შეიძლება მოკვდეს. მე გატეხილი ვარ და არ მინდა რომ შემაკეთონ! მაშინ გაეთრიე, წადი, ტყვი დაიხალე შუბლში, დასკვნები გააკეთე. არც ვიფიქრებ. ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ თანმიმდევრული არ ვიყო. მიმიფურთხებია ლოგიკურ დასკვნებზე. თუ კარგი გოგო იქნები, ტკბილეულს მიიღებ. თუ იქნები ისეთი, როგორც ჩვენ თვლით რომ უნდა იყო, წარმატებას მიაღწევ. არ მინდა დასკვნების გამოტანა! მე დამტვრეული ვარ და მორჩა!
გადის.

16. თვალსაც არ დავახამხამებ

გამოდის კრუზე.

კრუზე: ასე ადვილად ვერ დამიმორჩილებენ. არც კი შევიმჩნევ. თვალსაც არ დავახამხამებ, თუ შეურაცხმყოფენ და პროვოცირებას შეეცდებიან. არავითარი გულის ფრიალი. პირადი ვთქვი რამე? რამე ჩემი ბავშვობიდან? ვთქვი, რომ მეც მიყვარს ირლანდია. ეს არასწორია. უკვე შეცდომაა. თუ ვიტყვი, რომ მიყვარს ირლანდია, ისინი ჩემს შესახებ უფრო მეტს გაიგებენ, ვიდრე მე თვითონ ვიცოდი საკუთარ თავზე. ეს ემოციური სამხილია. ჩემი სიცოცხლე საფრთხეშია. მთავარია – ჯერ ერთი, არ შევიმჩნიო, და მეორე – მოვიფიქრო კოდირების მეთოდი. თუ მინდა ვთქვა "ირლანდია", უნდა ვთქვა "ისლანდია". თუ ვგულისხმობ ისლანდიას, ვიტყვი – „ინტერესს“, და თუ მინდა ვთქვა "ინტერესს", ვიტყვი "იდეა"... და თუ მინდა ვთქვა "პანიკა", ვიტყვი – "საპატენტო უწყება".

პაუზა.

საუკეთესო კოდი – წარუმატებელის კოდია. ასე ადვილად ვერ დამიმორჩილებენ. ყოველთვის ვინარჩუნებ სხელის ტემპერატურას 37⁰ გრადუსი. ოპერაციული სისტემა „ობივატელი“, პაროლი არავინ იცის, მეც კი დამავიწყდა. ასე ჯობია: "შესვლა აკრძალულია" – ეს ყველაზე საიმედოა. გავიხსენებ, როცა საჭირო იქნება, როცა შემძლება ვთქვა: ჩემთვის ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო, ნუთუ ფიქრობდით, რომ ვერაფერს ვამჩნევდი? თითქოს მართლა ასეთი არარაობა ვიყო? მაგრამ ეს დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა! ე.ი. საჭიროა კოდირებული ვიყო. საჭირო არაა ზედმეტი ლაპარაკი უაზროდ. მე ჭანჭიკი ვარ, ობივატელი – ერთ-ერთი მათგანი ვინც კრედიტს იღებს სახლის ასაშენებლად, სინამდვილეში კი არავინ იცის ვინ ვარ. პაროლი დაკარგულია. – იცით, სხვათა შორის, დაქორწინებული ვარ – სულელ მწვრილმანე-დიასახლისზე. მას არაფერი ესმის, მისთვის ყველაფერი მიღმაა – ჩვენი ჩაშენებული სამზარეულო, გასეირნებები კვირაობით, სადამოები ტელევიზორთან. მას არაფერი ესმის.

პაუზა.

ცოლი, იქნებ მეტისმეტია, მაგრამ არ მინდა გავრისკო. სისულელე იქნებოდა მოულოდნელად რომ მოვმკვდარიყავი, იფიქრებდნენ, რომ მართლა არარაობა ვარ, საპატენტო უწყება.

შეფის კარი იღება. იქედან გამოდის ლორწოვანი, უფორმო ხორცის მასა. ქალაქის ჩაჩით ვხვდებით, რომ კრეცკია.

კრუზე: დილა მშვიდობისა! (გადის.)

17. რა დარჩა კრეცკისგან

კრეცკი გამოდის შეფის ოთახიდან და ხედავს თავის თავს იატაკზე გაშხლართულს. ხორცის მასა იცინის.

კრეცკი: ჰმ. აი სადამდე მივიდა საქმე. მდა. როდის დაიწყო ეს? როდის ვთქვი პირველი ტყუილი? ალბათ ბავშვობაში, შიშისგან – არ მახსოვს. ახლა უკვე ველარც კი ვამჩნევ, არც კი ვიცი, როდის ვიტყუები და როდის არა. როდის გავიცინე პირველად, როცა სულაც არ მეცინებოდა? არ შეიძლება ამის სერიოზულად აღქმა. არაფერია. კიდევ ინებებთ ყავას? ეს ხომ უბრალოდ ხუმრობაა. რაღაც არასწორად

აღვიქვი. მაინც რა? არ მახსოვს. არაფერზე აღარ გამაჩნია საკუთარი აზრი. აღარც ჰოს ვამზობ და აღარც არას, ვთვლი, რომ შეფარდებითია. ერთი მხრივ, მეორე მხრივ, გარდა ამისა, რა თქმა უნდა. როცა არ ვიცი რა ვთქვა, ვიცი, სხვებიც იცინიან: კიდევ ინებებთ ყავას? ეს ხომ უბრალოდ ხუმრობაა. როდის გადავეჩვიე რაღაცეების სერიოზულად აღქმას? რაღაცეებისთვის მნიშვნელობის მინიჭებას? „მნიშვნელობა“, „შეყვარებული ვარ“, „მიყვარხარ“, „გაბრაზებული ვარ“ – ბრჭყალებშია ჩასასმელი. დარჩა რაიმე სამყაროში, რასაც სერიოზულად აღვიქვამ? არ ვიცი. არაფერი მახსენდება. აღარაფერზე მაქვს საკუთარი აზრი. შეხედე, მაგიდა. როგორია? არ ვიცი, წარმოდგენა არ მაქვს, მხოლოდ ის ვიცი, რომ... ხისაა, ისიც ვიცი რომელი ხის, რა სტილი აქვს. მაგრამ მომწონს თუ არა – არ ვიცი. ბედნიერი ვარ? წარმოდგენა არა მაქვს. შეიძლება. გამორიცხული არ არის. მაგრამ მე ვერ ვგრძნობ. ეს არ ნიშნავს რომ უბედური ვარ... იმიტომ, რომ სიტყვა „უბედური“ – მაინც ბრჭყალებში უნდა ჩავსვა. დაგვრჩა მხოლოდ ხუმრობა, ღადაობა, ანეკდოტები. უი, რა ვნახე გუშინ მეტროში... სტილისტმა მითხრა... როცა გასულ კვირას სუშის მივირთმევედით... ცხოვრება სავსეა ამ სისულელეებით. კიდევ ინებებთ ყავას? ეს ხომ უბრალოდ ხუმრობაა. აღარაფერზე მაქვს საკუთარი აზრი: იქნებ ეს ასეა, ან ისე. ამ სკამზე რას იტყვი? შეიძლება დაჯდე. შესაძლებლობა, შესაძლებლობები, შესაძლებლობები, ყველაგან მხოლოდ შესაძლებლობები. ურცხვი შესაძლებლობები, ახალი შესაძლებლობები. ჩემი დამოკიდებულებაც ქალებთან – ესეც, არც მეტი არც ნაკლები შესაძლებლობაა ურთიერთობის. როდის გადაიქცა სიყვარული სექსად? როგორ მოხდა, რომ მშვენიერი გრძნობა გადაიქცა ტელეფონის ნომრად, თავის მხრივ ტელეფონის ნომერი – ერთ-ერთი შესაძლებლობად? რაღაც არასწორად მივიღე, მაგრამ რა? არ ვიცი. ბანანის ქერქზე დამიცურდა ფეხი, გავიშხლართე, და გამეცინა ვიცი, რომ ლომბარდში დავიბადე, სულ მგონია, რომ ამან რაღაცნაირად იმოქმედა ჩემ ცხოვრებაზე – სულ მაქვს შეგრძნება, თითქოს რაღაც ფასეული გავუშვი ხელის, მაგრამ არ ვიცი რა. მეტი აღარ შემიძლია. მეჩვენება, რომ ჩემში ტკივილია ჩასახლებული, მაგრამ მძაფრი კი არა, ყრუ ტკივილი, მოქირქილე. ასე აღარ შემიძლია. აღარ მინდა აქ ყოფნა, აღარ მინდა. ყველაზე მეტად არ მინდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ. მინდა ამ ბაზარს გავერიდო და ყველაფერი თავიდან დავიწყო. 35 წლის ვარ, ეს არც ისე ბევრია, მინიმუმ ამდენივეს კიდევ ვიცხოვრებ, თუ რამე არ შემემთხვა, ჯერ კიდევ მაქვს დრო... არ შეიძლება მთელი ცხოვრება მხოლოდ ხუმრობათა კრებული იყოს. ახალი ხერხემალი მჭირდება, გამართულმა მინდა ვიარო. ყელში ამოვიდა ეს იდიოტური ხუმრობები მომბეზრდა! დღეიდან...

სენტემენტალური ეპილოგი

შემოდის კრისტენსენი. ხვდება, რომ კრეცკის შეაწყვეტინა.

კრისტენსენი: ადრე მომივიდა?

კრეცკი: არა, არა.

კრისტენსენი: შენ ხომ არ დაგიმთავრებია. მაპატიე, ხელი შეგიშალე.

კრეცკი: არა.

კრისტენსენი: იქნებ, სწორედ ახლა აპირებდი ცხოვრების შეცვლას? იქნებ მონოლოგის ბოლოს რამე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიგელო?

კრეცკი: რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ არ ვიცი, არა მგონია... ამისთვის მონოლოგი საჭირო არ არის.

კრისტენსენი: აბა რისთვისარის საჭირო?

კრეცკი: იმისთვის, რომ განმარტოვდე, ხმამაღლა იფიქრო, ყველაფერი აწონ-დაწონო და ძველებურად განაგრძო ცხოვრება, როგორც წესი. ყოველ შემთხვევაში, მე ყოველთვის ასე მემართება.

კრისტენსენი: საწყენია, რომ ყველაფერი ვერ გავიგონე, რაც თქვი.

კრეცი: არაუშავს.

კრისტენსენი: მართლა საწყენია, განსაკუთრებით ის, როცა ამბობდი: „ახალი ხერხემალი მჭირდება“.

კრეცი: ჰო...

კრისტენსენი: „გამართულმამინდა ვიარო“.

კრეცი: ცოტა გავუტიე.

კრისტენსენი: არა, ვფიქრობ, შენთვის ბოლომდე რომ მომესმინა, მეც მოვიკრები ვაჟკაცობას. მარტო შენთვის კი არა, სხვებისთვისაც.

კრეცი: მართლა?

კრისტენსენი: მართლა, იმიტომ, რომ უკმაყოფილო ვარ დღევანდელი სადამოთი. ეს კაბაც ისევ ჩანთაში მაქვს, თავიდანვე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა, მაგრამ პატარა იმედი მაინც მქონდა... პრინციპში, რა თქმა უნდა, ისედაც ნათელი იყო რომ არაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ მაინც... სულ ასეა... ბოლოს ყველა მარტო რჩება საკუთარ თავთან და წარმოთქვამს... მონოლოგს, ეს კი... ახლა წესით ჩემი მონოლოგის დროა, ისევ სრულ მარტოობაში, როგორღაც გულდასაწყვეტია. მეჩვენება, თქვენთვის რომ მომესმინა რას ამბობდით, იქნებ სიმამაცე მომეკრიბა ამ უკანასკნელ წამსარაფერი არ მეთქვა, უბრალოდ ავმდგარიყავი და ეს კაბა ჩამეცვა.

კრეცი: კარგი იქნებოდა. მეც რომ მცოდნოდა, ამდენს არ ვილაპარაკებდი, ამით ჩემს ცხოვრებაში, მაინც არაფერი იცვლება. იქნებ მეტი დრო დაგვრჩენოდა, ვინ იცის იქნებ შამპანურიც დაგველია.

კრისტენსენი: იქნებ ტუალეტში წავსულიყავი და ახალ კაბაში გამოწყობილს სწარკის წინ რეპეტიცია გამევილო...

კრეცი: მე კი ვითომ შემთხვევით...

შმიტი: (*შემოდის*) არ მესმოდა, რაზე საუბრობდით. ცუდ დროს ხომ არ მოვედი? თუ შეიძლება შემოგიერთდეთ?

კრეცი: მე თუ მეკითხებით, კი ბატონო...

კრისტენსენი: უკეთესიცაა, თუ შემოგვიერთდებით, საიდუმლოდ აღარაფერი დარჩება.

შმიტი: მე კი ჩემი მონოლოგის ნაცვლად –რას ვიზამდი? ალბათ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც წავიდოდი ტუალეტში აუჩქარებლად...

კრისტენსენი: კი, უკვე ტუალეტში იქნებოდი...

შმიტი: ხო იქ ვიქნებოდი.

კრისტენსენი: შემოგყვებოდი ახალი კაბის გადასაცმელად.

კრეცი: მე კი ვითომც არაფერი, ჩემთვის ვიდგებოდი... სრულიად მარტო, არანარეპეტიციები სახის გამომეტყველებით – ისეთით, როგორც სინამდვილეში მაქვს.

კრისტენსენი და შმიტი ტუალეტში შედიან. იქედან ისმის მათი ხმები.

შმიტი: ვახ! უყურე შენ!

კრისტენსენი: ვაიმე.

შმიტი: არ მინდოდა შენი შეშინება.

კრისტენსენი: მე, მე...

შმიტი: ბრწყინვალე კაბაა, ძალიან გიხდება!

კრისტენსენი: მართლა?

შმიტი: ლამაზია, ოღონდ თავი სწორად გეჭიროს. აი, ასე ... შესანიშნავია, ბრწყინვალედ გამოიყურები. *პაუზა.*

შმიტი: (*კრისტენსენს*) რა ახლოს ვართ ერთმანეთთან...

კრისტენსენი: ზუსტად ასე დავდგებოდი.

ისინი ნელ-ნელა იწყებენ კეროლ კინგის სიმღერას „You’ve got a friend“. **შემოდის ჰუფშიდტი.**

კრეცი: ჩ-ჩუ, ახლა ყველაზე ამაღელვებელი მომენტია.

ჰუფშიდტი: აა, მესმის. ე.ი. მე აქ არ უნდა ვიყო.

კრეცი: რატომაც არა, პირიქით. მოგვიანებით, როცა ყველანი დავთვრებოდით, მამაშენზე მოგვიყვებოდი.

ჰუფშიდტი: არა, ვერ შევძლებდი, ეს ჯერ არავისთვის მომიყოლია.

კრეცი: იცი ვის მოუყვებოდი? *(ყურში ჩაჩურჩულებს)* შმიტს.

ჰუფშიდტი: არა... არასოდეს, არავითარ შემთხვევაში. სასაცილოდ ამიგდებდა.

კრეცი: ისიც მოგიყვებოდა საკუთარ ისტორიას, და გამოგიტყდებოდა, რომ დიდი ხანია უყვარხარ.

კრეცი შედის ტულეტში.

ჰუფშიდტი: ვუყვარვარ? მართლა? მართლა თუ იტყოდა ამას, მაშინ... მაშინ მეც არ ვიქნებოდი წინააღმდეგი...

შედის ტულეტში დანარჩენებთან.

შემოდის კრუზე, უსმენს და ელოდება. ტულეტის კარი იღება, იქედან გამოდის ხელი და მას ტულეტში შეაგდებს. "And I'll be there, yes I will...". ხმოვანი სიგნალი, სანათი ინთება. პაუზა. ტულეტიდან ისმის სიმღერის ბოლო ფრაზები "... You've got a friend".

დასასრული

თარგმნა – ირაკლი გურგენიძემ